ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

ოთხშაბათი, 30 ოქტომბერი, 2019 №257 (8211) ფასი: 60 თეთრი

ირაკლი ოქრუაშვილმა ადვოკატები მამუკა ჭაბაშვილი და ბონდო ვათიაშვილი აიცილა



გვ.5

16 ოქტომბრიდან

გიორგი კოკოშაშვილი

ქართული საბრძოლო ხელოვნება

ჩვენი ღირსებანი




ფასი გაზეთთან ერთად 18 ლარი

# „ივანიშვილის ფარისევლობა გრძელდება. მან წყალტუბოს პროექტი 2012 წელს გააჩერა“



გვ.2

## ხატია დეკანოიძე: „ამ ქვეყანაში მხოლოდ ივანიშვილის მაფიოზური კარტელი ცხოვრობს კარგად, მაგრამ ძალიან მალე ოლიგარქია დასრულდება“



## „ბრძოლა მიდის პატრიარქის ტახტისთვის“

ვახტანგ ძაბირაძე: „დეკანოზ მამალაძის წერილი აუცილებლად უნდა გამოქვეყნდეს“



გვ.3

## „ადვოკატები გავიფიცებით და საერთოდ არ გავალთ პროცესებზე“



გვ.3

ნიკოლოზ მჟავანაძე: „რეპრესიული მანქანა ნელ-ნელა ისევ იქოქება“

## არჩილ გამზარდია: „ყველა ხელისუფლება ილია მეორეს ებრძვის“



გვ.4

## გიორგი გუგავა: „საქართველოში აუცილებელია ამერიკული სამხედრო ბაზების განლაგება“

„ეს მდგომარეობა იმიტომ მივიღეთ, რომ სახელმწიფო და ეკლესია ერეოდნენ ერთმანეთის საქმეებში“



გვ.4



გვ.2

## „მეუფეებს შორის დაპირისპირება ნორმალური არ არის“

ISSN 1987-9385

2 წმინდა სინოდის სხდომა 31 ოქტომბერს გაიმართება

5 საზარელი ავარია ქობულეთში

დაიღუპა 2 მე-12 კლასელი, 4 დაშავდა

5 პირველი გიმნაზიის მოსწავლე გოგონას ბებიის თვალწინ იტაცებდნენ

დამნაშავე დაკავებული არ არის

6 ბულგარეთმა რუსი დიპლომატი ქვეყნიდან გააძევა

# ხატია დეკანოიძე: „ივანიშვილის ფარისევლობა გრძელდება. მან წყალტუბოს პროექტი 2012 წელს გააჩერა“

## „ამ ქვეყანაში მხოლოდ ივანიშვილის მაფიოზური კარტელი ცხოვრობს კარგად, მაგრამ ძალიან მალე ოლიგარქია დასრულდება“

იაგო ნაცვლიშვილი



„ქართული ოცნების“ თავმჯდომარე ბიძინა ივანიშვილი წყალტუბოში ინვესტიციების განხორციელებას გეგმავს. პროექტის ფარგლებში იგეგმება წყალტუბოში მდებარე ტურისტული და სამკურნალო ინფრასტრუქტურის სრულმასშტაბიანი რეაბილიტაცია.

რით შეიძლება აიხსნას ეს გადაწყვეტილება არჩევნებამდე ერთი წლით ადრე, მაშინ როდესაც პროექტების განხორციელება უშუალოდ საარჩევნო წელს დაიწყება? არის თუ არა ეს ამომრჩევლის ირიბი მოსყიდვა? როგორ იმოქმედებს ეკონომიკურ და ტურისტულ გარემოზე მონოპოლიის დაწესება? – ამ და სხვა საკითხებზე „ახალი თაობის“ კითხვებს ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი **ხატია დეკანოიძე** პასუხობს.

***– ცოტა ხნის წინ ცნობილი გახდა, რომ წყალტუბოში ყველაფერს ბიძინა ივანიშვილი ყიდულობს. არჩევნებამდე 1 წელია დარჩენილი და, როცა ამას აკეთებს „ოცნების“ ლიდერი, ხდება თუ არა ამის დაკავშირება არჩევნებთან და ნიშნავს თუ არა ეს ამომრჩევლის ირიბ მოსყიდვას?***

– ყველაზე დიდი ფარისევლობა გრძელდება ივანიშვილის მხრიდან და ეს არა მხოლოდ მოსყიდვაა, არამედ ეს არის ტყუილი. ეს არის ფარისევლობა და სიყალბე. გვახსოვს ჩვენ წლების წინ ბიძინა ივანიშვილის მიერ ნაყიდი ან გამოსყიდული ობიექტები. მაგალითად, ასეთი იყო ლაგუნა ვერე, ახლა რა მდგომარეობაშიც არის ლაგუნა ვერე, ამასაც ყველა ძალიან კარგად ხედავს. ასევე გვახსოვს ზოოპარკის ტერიტორია, სამკერვალო ფაბრიკა და, თუ გადაამოწმებთ ამ ტერიტორიებს და ადგილზე გაეცნობით მათ, არა მხოლოდ არაფერი გაუმჯობესებულა, პირიქით, უმძიმესი ვითარებაა.

ასევე გვახსოვს ქუთაისის ტექნოლოგიური უნივერსიტეტის შესახებ დაპირება, რომ მას უკვე 2013 წელს უნდა მიეღო სტუდენტები. ამიტომ რეალურად ეს ადამიანი მხოლოდ და მხოლოდ საქართველოს ეკონომიკის დამანგრეველია.

მათ შორის ის შეიძლება განვიხილოთ ამომრჩევლის მოსყიდვისა და მოტყუების კონტექსტშიც. ერთადერთი, რასაც ბიძინა ივანიშვილი წარმატებით ახორციელებს, ეს არის საკუთარი ქონების გაათმაგება. მაგალითად, სახელმწიფოს ხარჯზე ბიტკოინების ქარხნების მშენებლობა, ვანო ჩხარტიშვილის გამდიდრება, უჩა მამაცაშვილისა და ა.შ. რეალურად ეს ყველაფერი არის რეკეტი ბიზნესზე, რომელსაც ასე აგრძელებს.

არავითარი წყალტუბოს პროექტი არ იქნება. მისი რეაბილიტაცია ჯერ კიდევ არჩევნებამდე ცოტა ხნით ადრე გვქონდა დაანონსებული. პროექტი, რომელიც ბიუჯეტშიც კი იყო გაწერილი, მაშინ ის ბიძინა ივანიშვილმა გააჩერა. ამიტომ ეს არის სიყალბე, ფარისევლობა და ტყუილი.

***– ფიქრობთ, რომ ამ პროექტს არ განახორციელებს და ის არ იქნება რეგიონის განვითარებაზე ორიენტირებული?***

– რა განახორციელა?! ერთი პროექტი დამისახელეთ, რომელიც პროექტი განახორციელა. ჩამოვთვალეთ ობიექტები. მაგალითად, ლაგუნა ვერე. რაც მან გააკეთა, ეს არის საკუთარი ხეების მოთხრა და საკუთარი ბაღების მოწყობა შეკვეთილში. სხვა მას არაფერი გაუკეთებია. არცერთი დიდი პროექტი, რომელსაც ის დაჰპირდა ამომრჩეველს 2011-14 წლებში, არ გაუკეთებია.

***– ოპონენტები ალბათ აბასთუმნის მაგალითს გაგახსენებდნენ.***

– აბასთუმანში პირიქით მოხდა. აბასთუმანში საკუთარი კეთილდღეობისთვის ადამიანები დააზარალა, დააზარალა ადამიანთა ჯგუფები, გაჩეხა ტყე და ა.შ. ეს მხოლოდ აბასთუმანს არ ეხება, ასე იყო რაჭაშიც... აქედან გამომდინარე, მე ბიძინა ივანიშვილის გაკეთებული არაფერი მახსოვს.

ეს არის, უბრალოდ, სასაცილო და ამას ვუყურებ, როგორც სასაცილო და ქოსატყუილა ადამიანის უიმედო განცხადებებს.

***– ანუ თქვენ მიიჩნევთ, რომ ის ამას არ გააკეთებს და ეს დაახლოებით იგივე იქნება, რაც საპრეზიდენტო არჩევნების წინ ვიხილეთ სესხების განულებასთან დაკავშირებით?***

– ამას ვერ ვიტყოდი, იმიტომ, რომ ახლა რაც არ უნდა დაჰპირდეს ადამიანებს, არავინ აღარ დაუჯერებს. სულ რომ დაჰპირდეს ოჯახებს, რომ თავის ფინანსურ რესურსებს მისცემს ადამიანებს, რასაკვირველია, არავინ დაიჯერებს.

ახლა არის სხვა სიტუაცია, ახლა არის სხვა დამოკიდებულება ხალხის მხრიდან მის მიმართ. ადამიანებმა დაინახეს, რომ ის არაფრის მაქნისია.

გაგრძელება მე-3 გვერდზე

# „ოკუპირებულ სამაჩაბლოსთან სამშვიდობო დერეფანი უნდა გაკეთდეს“

ცხინვალის საავადმყოფოში ახალგორელი ქალბატონი გარდაიცვალა. ოჯახი დაკრძალვაზე დასწრებას ვერ ახერხებს. „შენების მოძრაობის“ ერთ-ერთი ლიდერი სოსო ვახტანგიშვილი „2020NEWS“-თან აცხადებს, რომ ოკუპირებულ ტერიტორიაზე აუცილებელია არსებობდეს სამშვიდობო დერეფანი, რითაც დაზღვეული ვიქნებოდით მსგავსი ტიპის ტრაგედიებისგან და ადამიანებს თავისუფლად გადაადგილების საშუალება ექნებოდათ.

მისივე განცხადებით, სამშვიდობო დერეფნის შექმნის საკითხი ხელისუფლებამ ყველა საერთაშორისო ფორმატით უნდა დააყენოს, განსაკუთრებით კი ჟენევის მოლაპარაკებების ფორმატში.

როგორც ვახტანგიშვილმა სააგენტოსთან საუბარში განაცხადა, მომხდარის ერთ-ერთი მიზეზი ოკუპირებულ ტერიტორიაზე სამედიცინო მომსახურების დაბალი დონეა.

მისივე თქმით, ხშირ შემთხვევაში ოკუპირებული ტერიტორიიდან სამედიცინო მომსახურების მიღების მიზნით საქართველოს ტერიტორიაზე ვლადიკავკაზიდანაც კი შემოდიან.

– სამწუხარო ფაქტი მოხდა ახალგორის რაიონში, მსგავსი ტიპის ფაქტები არ გახმაურებულა ბევრჯერ, მაგრამ, დარწმუნებული ვარ, კიდევ იქნებოდა ასეთი შემთხვევები. მრავალ მიზეზთა გამო ვფიქრობ ასე, თუმცა, ერთ-ერთი მთავარი მიზეზი გახლავთ ის, რომ ცხინვალში სამედიცინო მომსახურება ძალიან დაბალ დონეზეა. ამაზე მეტყველებს ის ფაქტიც, ცხინვალში მცხოვრები ოსი ეროვნების ბევრი ადამიანი საქართველოში ვლადიკავკაზის გავლითაც შემოდის სამედიცინო მომსახურების მისაღებად.

ცხინვალში სამედიცინო მომსახურება ძალიან დაბალ დონეზეა და არც რუსეთი აძლევს მათ ჯეროვან, კომპეტენტურ მომსახურებას, შესაძლოა, სწორედ ეს გამხდარიყო ამ ქალბატონის გარდაცვალების მიზეზიც თუმცა, ამ მიზეზები სხვა საკითხებშიც უნდა ვეძებოთ. ჩვენს ხელისუფლებასა და დე ფაქტო ხელისუფლებას შორის კონფრონტაციული მდგომარეობა რომ არა, შესაძლოა, მსგავსი შემთხვევები არ მომხდარიყო. ვგულისხმობ იმას, რომ თუნდაც ოჯახის წევრებს უფრო მეტი შესაძლებლობა ექნებოდათ, ალმოეჩინათ დახმარება გარდაცვლილი ქალბატონისთვის, – განაცხადა ვახტანგიშვილმა.



როგორც „2020NEWS“ ვახტანგიშვილმა განუცხადა, დე ფაქტო ხელისუფლებამ ე.წ. საზღვარი ჩაკეტა არა მარტო ჩორჩანა-ატოციის ტერიტორიებთან მიმდინარე პროცესების, არამედ სამხედრო წვრთნების გამოც.

– ჩვენ ვიცით, რომ სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ხელისუფლებამ ე.წ. საზღვარი ჩაკეტა, გამომდინარე იმ დაძაბული ვითარებიდან, რომელიც ჩორჩანისა და ატოცის ტერიტორიებთან ხდება.

ამავე დროს, ჩვენ გვაქვს ინფორმაცია, საკმაოდ სერიოზულიც, რომ სამხედრო წვრთნებთან დაკავშირებით არის ჩაკეტილი ადმინისტრაციული გამყოფი ზოლი.

ამ პირობებში, თუნდაც ჟენევის ფორმატში უნდა მოხერხდეს და დადგეს საკითხი, რომ მსგავსი ტიპის შემთხვევებში, როგორც ქართულ, ისე დევნილ და ოსურ მოსახლეობას ჰქონდეს რაღაცა დერეფნით სარგებლობის უფლება. ჩვენი ხელისუფლება ამაზე უნდა ფიქრობდეს, მუშაობდეს და აყენებდეს ამ საკითხს საერთაშორისო ფორმატით. არც ერთი მსგავსი შემთხვევა არ უნდა დარჩეს ყურადღების მიღმა.

ასეთი ტიპის ინციდენტებისა თავიდან აცილების გამო უნდა იქნეს შეწუხებული ყველა საერთაშორისო ორგანიზაცია.

ეს არის ერთ-ერთი მთავარი, მყარი პოზიცია, რომელიც ჩვენმა ხელისუფლებამ ჟენევის მოლაპარაკებების ფორმატში უნდა დააყენოს, რადგან ეს არ ეხება პოლიტიკას, ეს არის სუფთა ადამიანური მოვლენები და, თუკი სამშვიდობო დერეფანი გაიხსნებოდა, ჩვენ ასეთი ტიპის ადამიანური ტრაგედიებისგან დაზღვეული ვიქნებოდით.

ასეთი ტიპის პრაქტიკა ძალიან ბევრ ქვეყანაშია. თუკი ჩვენც დავაყენებდით ამ საკითხს, კარგი იქნებოდა, – განაცხადა ვახტანგიშვილმა.

# „მეუფეებს შორის დაპირისპირება ნორმალური არ არის“

ხორნაბუჯისა და ჰერეთის მიტროპოლიტი მეუფე დიმიტრი „2020NEWS“ -თან ექსკლუზიურ ინტერვიუში საპატრიარქოში არსებული ვითარების შესახებ საუბრობს. როგორც მეუფე სააგენტოსთან აცხადებს, პროცესები, რომლებიც საპატრიარქოში მიმდინარეობს, „ნორმალური არ არის“.



***– მეუფე დიმიტრი, მეუფე იაკობის სკანდალური ბრალდებები, რომლებიც მან მაღალჩინოსნებისა თუ სასულიერო პირების მისამართით გააჟღერა, სარწმუნოა თქვენთვის?***

– სანამ მეუფეს არ დაველაპარაკები, ამასთან დაკავშირებით ვერაფერს გეტყვით. მსურს, მეუფე იაკობისგან მოვისმინო შეფასებები.

***– დღემდე ფიქსირდება შემთხვევები, როცა მაღალჩინოსნები სასულიერო პირების ცხოვრებაში უხეშად ერევიან ან პირიქით.***

– ვერ გეტყვით. პირადად ასეთი ინფორმაცია არ გამიგია.

***– რამდენად მძაფრ ფაზაში შედის საპატრიარქოში არსებული დაპირისპირება?***

– არ ვიცი. მე ეპარქიაში ვარ, საპატრიარქოში რა ხდება, არ ვიცი. რა სიმძიმეზე მელაპარაკებით, მაგასაც ვერ ვხვდები.

***– რა შთაბეჭდილება გრჩებათ, როცა მეუფეებს შორის დაპირისპირებას აკვირდებით? აღნიშნული სასულიერო პირების განცხადებებსა თუ ცხოვრების წესს შეეფერება?***

– რომ გითხრათ, ჯანსაღი პროცესიამეთქი, სწორი იქნება?! მე პირადად არ მომწონს.

***– რატომ არ მოგწონთ?***

– რაც ხდება, არ არის ნორმალური. რა თქმა უნდა, ვგულისხმობ მეუფეებს შორის დაპირისპირებას, პირველ რიგში.

***– საპატრიარქოში არსებული ვითარება როგორ უნდა მოგვარდეს?***

– პირველ ყოვლისა, სასულიერო პირებს შორის უნდა დალაგდეს ურთიერთობა.

***– ამ ეტაპზე ურთიერთობების დალაგების პერსპექტივა ჩანს?***

– პერსპექტივა ყოველთვის არსებობს. დავსხდებით და ვისაუბრებთ.

***– თქვენი აზრით, „ციანიდის საქმესთან“ დაკავშირებით დამნაშავეები ჯერ კიდევ გარეთ არიან?***

– ამ თემაზე კომენტარს ვერ გავაკეთებ.

***– სინოდის სხდომა, სადაც საპატრიარქოში არსებული ვითარება განიხილება, როდის გაიმართება?***

– ალბათ დეკემბრის ბოლოს. სინოდის სხდომა დეკემბრის ბოლოს, 25-მდე იმართება ხოლმე.

# გურამიშვილზე აფეთქებულ კორპუსში ცხოვრება არ შეიძლება

თბილისში, გურამიშვილის გამზირის №34-ში მდებარე 16-სართულიან საცხოვრებელ კორპუსში, სადაც გაზის გაჟონვის შედეგად აფეთქება მოხდა, თბილისის მუნიციპალურმა ლაბორატორიამ შემოწმება დაასრულა.



თბილისის მუნიციპალური ლაბორატორიის დირექტორ ლაშა სამხარაძის განცხადებით, დასკვნის თანახმად, კორპუსში ცხოვრება გამაგრებითი სამუშაოების ჩატარებამდე არ არის რეკომენდებული. „ლაბორატორიის მიერ მომზადებული დასკვნის მიხედვით, გურამიშვილის გამზირზე მომხდარი ძლიერი აფეთქების შედეგად, საცხოვრებელ კორპუსში დაზიანებულია მე-3, მე-4 და მე-5 სართულები, გადახურვის ფილები, თვითმზიდი პანელები და ტიხრები, ასევე, ლიფტი და კიბის უჯრედებში გარკვეული სეგმენტები. დაზიანება ამ ლოკაციაზე არის საკმაოდ რთული და შეესაბამება მე-4 ხარისხს. ამ ეტაპზე მიმდინარეობს გაწმენდითი სამუშაოები. მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის დაკვეთით კორპუსში უახლოეს დღეებში შევა კომპანია, რომელიც ჩაატარებს წინასაპროექტო სამუშაოებს, მომზადდება პროექტი და ამის შემდეგ დაიწყება აღდგენითი სამუშაოები. ვიდრე კორპუსში შესაბამისი გამაგრებითი სამუშაოები არ ჩატარდება, იქ ცხოვრება რეკომენდებული არ არის“, – განაცხადა ლაშა სამხარაძემ.

შეგახსენებთ, გურამიშვილის გამზირზე საცხოვრებელ კორპუსში აფეთქება 19 ოქტომბერს მოხდა. აფეთქების შედეგად ხუთი ადამიანი დაშავდა.

# წმინდა სინოდის სხდომა 31 ოქტომბერს გაიმართება



31 ოქტომბერს წმინდა სინოდის სხდომა გაიმართება. სინოდის სხდომა 12:00 საათზე ჩაინიშნა. ამის შესახებ განცხადება საპატრიარქოში გუშინ გაკეთდა.

გადაწყვეტილება სინოდის სხდომის ჩანიშვნის შესახებ საქართველოს პატრიარქმა მიიღო.

წმინდა სინოდი მიიღებს გადაწყვეტილებას, დაიწყება თუ არა მეუფე იაკობის საკითხის განხილვა.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
სარეკლამო სამსახური – 294-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლეჟერაშვილი
მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი: 294-06-91
ვებგვერდი: www.akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „ადვოკატები გავიფიცებით და საერთოდ არ გავალთ პროცესებზე“

## ნიკოლოზ მჟავანაძე: „რეპრესიული მანქანა ნელ-ნელა ისევ იქოქება“

ნონა ცაბაძე

სასამართლო სისტემაში არსებული პრობლემების შესახებ „ახალ თაობას“ უფლებადამცველი **ნიკოლოზ მჟავანაძე** ესაუბრება.

***– ბატონო ნიკოლოზ, ბოლო პერიოდია გვესმის განცხადებები, რომ ადვოკატების წინააღმდეგ რეპრესიული მანქანა ამუშავდა. რა ხდება?***

– სააკაშვილის რეჟიმმაც ადვოკატების დაშინება დაიწყო თავდაპირველად. გახსოვთ ალბათ, ასზე მეტი ადვოკატი იქნა დაპატიმრებული, რათა სასამართლო პროცესებზე სრული კარტბლანში ჰქონოდა და ძალიან ბევრმა ადვოკატმა სისხლის სამართლის საქმეებზე გასვლაზე საერთოდ უარი თქვა. იმიტომ, რომ შეუძლებელი იყო ისეთ პირობებში წნეხის ქვეშ მუშაობა, როცა გამამართლებელი განაჩენი 0,01% იყო.

***– „ოცნებამაც“ იგივე დაიწყო?***

– ნელ-ნელა აქეთკენ მივექანებით. როდესაც მოიქოქება რეპრესიული მანქანა, მერე ამის შეჩერება არის შეუძლებელი. სააკაშვილის რეპრესირებული მანქანა რომ იყო ჩართული, იმას ველარავინ აჩერებდა, ვერც სააკაშვილი. ყველაფერი იყო ძალადობრივი.

ადვოკატების წინააღმდეგ დაიწყო აქტიური აღვირახსნილი კამპანია. ასეულობით საჩივარია ადვოკატთა ასოციაციაში შესული, ადვოკატების უფლებების შელახვით. ძალიან ბევრი ადვოკატი დაპატიმრებულ იქნა უსაფუძვლოდ. ერთ-ერთი ბოლო იყო ნაირა ოტიაშვილი, რომელიც აბსურდული ბრალდებით დააპატიმრეს და შემდეგ შეუცვალეს აღკვეთი ღონისძიება.

***– მიზანმიმართული პროცესია?***

– რა თქმა უნდა. სულ ახალ ამბავს გეტყვით, ორი დღის წინ, ადვოკატი ვასილ მამულაშვილი პოლიციამ დააკავა, როდესაც ის საადვოკატო საქმიანობას ახორციელებდა, იცავდა თავის კლიენტს. ასე პირდაპირ დაადეს ბორკილები ადვოკატს, მიუხედავად იმისა, რომ უთხრა, მე ვარ ადვოკატი, ვახორციელებ ჩემს საქმიანობასო.

ასევე პირადად ჩემ წინააღმდეგ განხორციელდა უკანონობა. პოლიციამ თავისუფლება აღმიკვეთა, არ მომცა საშუალება გადაადგილების და მისი მხრიდან სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებას ჰქონდა ადგილი.

***– რა მიზნით, რა იყო მოტივი?***

– უმიზეზოდ, ჩემი პროვოცირება უნდოდათ. შეურაცხყოფა მოგვაყენეო. ამ დროს მსგავსი არაფერი ყოფილა. თუ იყო, ხომ უნდა გამოეწერათ ამის დამადასტურებელი ჯარიმა?!

ამაზე საჩივარი შევიტანე პროკურატურაში და დღემდე გამოძიება არ დაწყებულა. პროკურატურაც უკვე თანამონაწილეა ამ ყველაფრის. როდესაც ვეუბნები, რომ სამხრე კამერები ამოიღეთ და იქ ყველაფერი ნათლად არის დაფიქსირებული, პროკურორი მეუბნება, რომ იცით რა, ჩვენ სამხრე კამერებს ვერ ამოვიღებთ, იმიტომ, რომ გამოძიების დაწყებაა საჭირო ამისთვისო. დაიწყონ გამოძიება, მეც ხომ მაგისთვის მოგაკითხეთ, დანაშაულის ნიშნებზეც მიგითითებთ, მაგრამ არ იწყებენ.

ელოდებიან ვადის გასვლას, მერე წაიშლება ის სამხრე კამერები. შემოდებენ საქმეს თაროზე და ვერაფერს ვერ გამოკვეთენ.

ვაფრთხილებ, თუ წაშლიან, ეს უფრო ცუდია მათთვის. უკვე მერამდენე ადვოკატი მისცეს პასუხისგებაში.

***– რის მიღწევას ცდილობენ?***

– ეს არის ჩვენი დაშინების მცდელობა. აგერ ლექსო კობაიძე, რომელიც იყო ადვოკატი ერთ-ერთ საქმეზე, პოლიციამ არ შეუშვა და პოლიცია მასზე ძალადობდა. ეს მოხდა ქვემო ქართლის სამხარეო პოლიციაში.

ჩვენ, ადვოკატები, ამას რეაგირების გარეშე არ დავტოვებთ.

***– რას აპირებთ.***

– ვაპირებთ აქციების ჩატარებას. არ არის გამორიცხული, რომ გავიფიცოთ და საერთოდ არ გავიდეთ პროცესებზე. იმიტომ, რომ ამის გატარება უკვე შეუძლებელია, რასაც ხელისუფლება ახორციელებს.

მე ერთ-ერთმა პირმა მომწერა ამას წინათ, რიგითმა პოლიციელმა დანაშაული ჩაიდინა, რა შუაშია ხელისუფლებაო. სწორედ რომ შუაშია! რიგითმა პოლიციელებმა მოკლეს ბუტა რობაქიძე და რიგითებმა მოკლეს გირგვლიანი და რიგითებმა დახოცეს სწორედ იმდენი ხალხი. აბა, მინისტრი მერაბიშვილი კი არ ისროდა ავტომატს! რიგითებიდან დაიწყო ყველაფერი. რიგითებს თუ ვერ აკონტროლებენ, მაშინ ზემდგომის პასუხისმგებლობის საკითხი დგება.

დროა, პარლამენტიც დაინტერესდეს ამ საკითხებით, უამრავი იურისტი და ჩვენი ყოფილი კოლეგაა იქ. ამაზე რეაგირება სასწრაფოდ უნდა მოხდეს, რადგან ეს არის ადვოკატთა კორპუსის დაშინების მცდელობა! როცა ადვოკატს აკავებ, იჭერ, მერე სხვა ადვოკატები ისეთი ომახიანები ველარ არიან.

***– ზოგადად ქვეყანაშია მძიმე სიტუაცია.***

– მაგათ რა ჰგონიათ, ასე ხელწამოსარტყმელები არიან ადვოკატები?! მიიღებენ იმას, რაც მიიღო სააკაშვილმა. სწორედ ადვოკატების აქტიურობამ და ჩვენ მიერ შექმნილმა მტკიცებულებებმა განაპირობა სააკაშვილის რეჟიმის დემონტაჟი.

ახლაც ასე იქნება. ამათ იდიოტურ ტვინში თუ ასე იხარშება, რომ ერთ-ორს დავიჭერ და მერე ყველა დაშინდება, ძალიან ცდებიან.



**„რატომ დაიჭირეს უგულავა და არ დაიჭირეს ბოკერია?! მიიღებენ იმას, რაც მიიღო სააკაშვილმა“**

***– სასამართლო სისტემაზე ზოგადად რას იტყვით?***

– რა უნდა თქვა, როცა პარლამენტიდან დეპუტატების და უმაღლესი პირების მხრიდან გვესმის შეფასებები, რომ ესენი დამნაშავეები არიან, ცუდად გვექცეოდნენ, მაგრამ, მოდით, ვაპატიოთ.

ეს პირიქით, დანაშაულის წახალისებაა. ლაშა ნაცვლიშვილის განცხადება რომ ავიღოთ, კაცმა თავისი პირით აღიარა დანაშაული, რომ თურმე ყველა მტკიცებულება ჰქონდა და არ დაიჭირეს და პასუხისგებაში არ მისცეს, მაგალითად, გიგა ბოკერია და იგივე ბაქრაძე.

ეს არის სამოხელეო დანაშაული! დანაშაული ჩაიდინა ვიღაცამ და მას არ იჭერ იმიტომ, რომ მერე ამაზე ევროპა შეშფოთდება. მაშინ ქურდობისთვის რომ სხედან, ისინიც გაუშვან, შიოდათ, არ ჰქონდათ და იმიტომ მოიპარეს. ეს სწორი იქნება?!

***– შერჩევითი სამართალია ქვეყანაში?***

– შერჩევითი მართლმსაჯულება აღიარა ხელისუფლებამ. ვისაც უნდათ, აპატიებენ და ვისაც უნდათ, არა. ნებისმიერ თავმოყვარე ევროპულ სახელმწიფოში, მსგავსი ტიპის განცხადებების გამო, აუცილებლად ხალხი ქუჩაში გამოვიდოდა და პასუხს მოსთხოვდა ხელისუფლებას.

***– ნაცვლიშვილი წყვეტს, ვის დაიჭერენ და ვის არა?***

– არ ვიცი, რას ემსახურება ეს განცხადებები. რა, წილი ყარეს, ეს დავიჭიროთ და ეს არაო?

ბოკერიას მიმართ გაცილებით დიდი აგრესია იყო ხალხში, ვიდრე გიგი უგულავას მიმართ, ბოკერია რატომ არ დაიჭირეს?! რა კრიტერიუმებით შეარჩიეს, ვინ დაეჭირათ და ვინ არა?

ეს ყველაფერი აუხსნელი და გაუგებარია. რას აკეთებენ ეს პოლიტიკური პარტიები, არაფრის მაქნისები რომ არიან. დღეს ჩვენ გვყავს ტელევიზორის პოლიტიკოსები. გამოდიან მხოლოდ ტელევიზიით, არანაირი ძალა არ აქვთ, ბერკეტი არ აქვთ ხელისუფლებზე ზეგავლენის.

თამაში მიდის, გაყიდულია ყველა, ერთმანეთს შესისხლხორცებული და ვითომ ოპოზიციონერის თამაშს თამაშობენ. ერთი ეკლესიას ჰქონდა მაღალი ნდობა და აქაც არიეს სიტუაცია და ხალხს თავგზას ურევენ.

სწორედ ეკლესიის ზეგავლენით შეჩერდა მარიხუანის კულტივაცია. ასევე გეიაღლუმები, დღეს ვიღაც-ვიღაცებს ეკლესია ყელში ცუდად ეჩხირებათ. ვაფრთხილებ ამ ხალხს, რომ სახიფათო თამაში წამოიწყეს. ეკლესიას იმდენი სიკეთე აქვს გაკეთებული, ამ ხელისუფლებას არც დაესიზმრება.

ასეთ ორკესტრირებულ შეტევას ერთადერთი მიზანი აქვს – შეარყიონ ხალხში ყველაზე პოპულარული ინსტიტუტი.

***– ეს არის ბრძოლა პატრიარქის წინააღმდეგ?***

– პატრიარქის წინააღმდეგ და ზოგადად ეკლესიის წინააღმდეგაც. ამ ინსტიტუციის დანგრევა და ჩამოშლა უნდათ, მაგრამ არ გამოუვათ!

# ხატია დეკანოიძე: „ივანიშვილის ფარისევლობა გრძელდება. მან წყალტუბოს პროექტი 2012 წელს გააჩერა“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

მას საქართველოს სახელმწიფო ინტერესების მეტი არაფერი გაუკეთებია. ამიტომ რეალურად არავინ აღარ დაიჯერებს ბიძინა ივანიშვილის ყალბ განცხადებებს.

***– შარშან არ ჩანდა ეს?***

– როგორ არა, რასაკვირველია, შარშანაც ჩანდა და ამაზე ვსაუბრობდით, მაგრამ ახლა, წინასაარჩევნოდ, ბიძინა ივანიშვილს ასეთი დავალება არ გაუვა.

***– ანუ იმას ამბობთ, რომ მას ამომრჩევლის მოსყიდვაც არ გაუვა?***

– გულწრფელად რომ გითხრათ, ახლა „ქართული ოცნების“ ბოლო ფაზაა ეს. ჯერ ერთი, ბიძინა ივანიშვილი საკუთარ თანხებსა და რესურსებს არ ხარჯავს. მისი კრიმინალური სქემები ჩვენი – გადასახადების გადამხდელების ჯიბიდან ფინანსდება, რადგანაც ეს არის ბიუჯეტის ხარჯი, მაგრამ მას არაფერი გამოუვა, არც კრიმინალის მობილიზება და არც ყალბი და ფარისევლური დაპირებები. მე გულწრფელად დარწმუნებული ვარ ამაში, ალბათ თქვენც და საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობაც.

***– ის რა ფენომენია, როდესაც მან პრაქტიკულად ნახევარი საქართველო უკვე იყიდა?***

– ეს ხდება საკუთარი გამდიდრებისთვის. ამისთვის აკეთებს ამას და ეს არის სიტუაცია, როდესაც მხოლოდ და მხოლოდ ბიძინა ივანიშვილის კარტელი ცხოვრობს კარგად. დანარჩენი ადამიანების ბედი მათ არ აინტერესებთ, მაშინ როდესაც ჩვენს ქვეყანაში უმძიმესი სოციალური ფონია, უმძიმესი სოციალური ვითარებაა. რეალურად კი მხოლოდ ბიძინა ივანიშვილის სახელმწიფო რეკეტი – ფარცხალაძე, ჩხარტიშვილი, მამაცაშვილი და ეს რაღაც მაფიოზური კარტელი ცხოვრობს კარგად. რეალურად ეს ვითარებაა დღეს საქართველოში, მაგრამ, ხომ გესმით, რომ ასეთი ადამიანების მოღვაწეობა არ მთავრდება კარგად, ანუ მას აუცილებლად ჩამოვაშორებთ ხელისუფლებას. ეს არის მთავარი ამოცანა.

***– მას რომც ამოძრავებდეს კეთილშობილური გეგმები წყალტუბოს განვითარებასთან დაკავშირებით, ეკონომიკისა და ტურიზმისთვის რამდენად კარგია, როდესაც ერთ ქალაქში ყველაფერს ერთი ბიზნესმენი ყიდულობს და მონოპოლიას ამყარებს?***

– რასაკვირველია, როდესაც ერთი ადამიანის ხელში გადადის ყველაფერი, არ არის კარგი, მით უმეტეს, როცა ამას ემატება ისიც, რომ ამ ერთ ადამიანს სახელმწიფოც მიტაცებული აქვს. ეს იმას ნიშნავს, რომ მთელი სახელმწიფო მიტაცებულია. ჩვეულებრივი პოლიტიკური ტერმინია ეს უკვე და რეალურად მას აქვს მიტაცებული. წყალტუბო, პარკი და ხეები კი არა, მან ჯიბეში ჩაისვა პროკურატურა, შინაგან საქმეთა სამინისტრო და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური. მან მიიტაცა სახელმწიფო, ამიტომ რეალურად ძალიან ცოტა დაგვრჩა იმ საბოლოო წერტილამდე, როდესაც საქართველოში ოლიგარქია დასრულდება.

# ვახტანგ ძაბირაძე: „ბრძოლა მიდის პატრიარქის ტახტისთვის“

## „დეკანოზ მამალაძის წერილი აუცილებლად უნდა გამოქვეყნდეს“

ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი **ვახტანგ ძაბირაძე** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში საპატრიარქოს ირგვლივ მიმდინარე პროცესებზე საუბრობს.

***– ბატონო ვახტანგ, საპატრიარქოს ირგვლივ განვითარებული მოვლენები რა გავლენას იქონიებს პოლიტიკაზე? გაგრძელდება ეს პროცესი?***

– გარკვეულ პაუზას არ გამოვრიცხავ, რადგან არც ერთ მხარეს – არც საპატრიარქოს და არც ხელისუფლებას – გამწვავება არ აწყობს. ოდნავი მოქმედება და უფრო და უფრო მეტი ინფორმაცია გამოვა გარეთ. ამიტომ, გარკვეული პერიოდი სიტუაცია ჩაწყნარდება, მაგრამ ამით ნამდვილად არ დასრულდება ეს პროცესი.

დეკანოზ მამალაძის საქმესაც ჰქონდა პოლიტიკური სარჩული და ეს პროცესი გრძელდება. ეს ყველაფერი საპატრიარქო ტახტს უკავშირდება. მარტივად ამოსაცნობი ინტერესია – ვინ დაიკავებს პატრიარქის ტახტს?!

ამაში მონაწილეობენ პოლიტიკოსები, როგორც ხელისუფლება, ისე ოპოზიცია. ხელისუფლებას ყოველთვის ჰქონდა და აქვს ეკლესიაზე გავლენა. თავის დროზე რა, არ ჰქონდა გავლენა ნაციონალურ მოძრაობას?! დიდი გავლენა ჰქონდა. მღვდელმთავრებს შავი ჯიპები მაგათ არ დაურიგეს?!

ყველა ხელისუფლება ცდილობდა ეკლესიაზე გავლენის მოხდენას. თუმცა, პატრიარქი აქამდე ყოველთვის ახერხებდა, რომ ეკლესიის შიგნით ერთიანობა შეენარჩუნებინა.

30 წლის მანძილზე ეკლესია იყო ერთადერთი ინსტიტუტი, რომლისადმიც საზოგადოების ნდობა ძალიან მაღალი იყო. დღეს თუ ეს



პროცესი შეუქცევადი გახდება და ბრძოლა გაგრძელდება პოლიტიკური გავლენებისა და საპატრიარქო ტახტისთვის, მაშინ ქვეყანაში შეიძლება არ დარჩეს არც ერთი ინსტიტუტი, რომელსაც ერის გამთლიანება რაღაც საკითხში მაინც შეეძლება.

თუ ესეც მოიშლება, მაშინ ჩვენ ძალიან ახლოს ვიქნებით არასტაბილურ გარემოსთან და საზოგადოების დაპირისპირებასთან, სრულიად ქაოსურ მდგომარეობასთან.

ამიტომ, ყველამ, მთელმა საზოგადოებამ უნდა გაითვალისწინოს ეს.

***– ეს კრიზისი გარედან არის ნაკარნახევი თუ შიგნითაც აქვს მას საფუძველი?***

– ბრძოლა მიდის პატრიარქის ტახტისთვის. ეკლესიის შიგნით არის რამდენიმე დაჯგუფება და იქიდან ვის აქვს მეტი შანსი, რომ მისი წარმომადგენელი გახდეს პატრიარქი, ამაზეა მთელი ამბავი. ამას გარე გავლენები ემატება.

***– ეს გავლენები მხოლოდ ქვეყნის შიგნიდან თუ ქვეყნის გარედანაც არის, მაგალითად, რუსეთიდან?***

– თუ ადრე ეკლესიის შიგნით არავის აზრად არ მოსდიოდა, რომ ღიად დაეწყო ბრძოლა საპატრიარქო ტახტისთვის, ახლა ეს ბრძოლები სრულიად ღიად არის დაწყებული. ინტერესი აქვს ხელისუფლებსაც, ოპოზიციასაც, რასაკვირველია, რუსეთსაც და, თქვენ წარმოიდგინეთ, აშშ-საც.

როდესაც ინსტიტუტს ასეთი მაღალი რეიტინგი აქვს, ყველა, რუსეთიც და სხვებიც, მოინდომებენ გავლენის მოპოვებას. ვიღაც ძალიან უხეშად აკეთებს ამას და ვიღაც – ნაკლებად.

ეს არ არის მარტივი ბრძოლები, შეიძლება ითქვას, სამკვდრო-სასიცოცხლო დაპირისპირებაა და ამით, სამწუხაროდ, უფსკრულამდე მივედით.

ყველაფერს დაემატა კვირის ბოლოს გაკეთებული მეუფე იაკობის განცხადება თეოლოგიური თუ ინტელექტუალური კუთხით. მხოლოდ უცენზურო სიტყვებზე არ ვსაუბრობ. პარალელის გავლებაც კი არ შეიძლება პატრიარქის ეპისტოლეებთან.

***– დეკანოზ გიორგი მამალაძის წერილი უნდა გამოქვეყნდეს თუ არა, უნდა გამოვიდეს თუ არა სამსჯავროზე პრობლემები?***

– როდესაც ვიცით, რომ არსებობს რაღაც წერილი, სადაც რაღაც უბედურება წერია, ყველასთვის უკეთესია, ეს წერილი გამოქვეყნდეს, რომ მუდმივად არ იყოს იმაზე საუბარი, რომ სადღაც არსებობს წერილი, სადაც საშინელება წერია.

მე მგონია, რომ ეს წერილი უფრო საეკლესიო პირებს ეხებათ, საპატრიარქოს მაღალჩინოსნებს, ალბათ ნაკლებად – საერო ხელისუფლებას.

***– მეუფე იაკობის განცხადებაზე უნდა დაიწყოს თუ არა გამოძიება?***

– ცხადია, უნდა დაიწყოს. თუ გამოძიება არ დაიწყება, ეს იქნება ირიბი დასტური იმისა, რაც მეუფე იაკობმა თქვა.

ის პირდაპირ ადანაშაულებს სახელმწიფოს უმაღლესი თანამდებობის პირებს. აქ არაფერ შუაში არ არის ეკლესია. საუბარია დანაშაულის დაგეგმვაზე, ამიტომ არის საჭირო გამოძიება.

წარმოუდგენელია, გამოძიება რომ არ დაიწყოს. კი, ბატონო, შეიძლება ხელისუფლებამ „სისულელე“, „სისულელე“ იძახოს, მაგრამ ამით რა შეიცვლება?! წაყრუება არ გამოდის არც ერთ ვარიანტში.

თუ საზოგადოების მხრიდან ძლიერი ზეწოლა არ იქნება, გამოძიებას არ დაიწყებენ, რადგან, რომ დაიწყონ, არავინ იცის, სადამდე გავა და ვის მიადგება. ამიტომ, იგნორირების გზას აირჩევენ.



**შევიძენ**
ძველ ანტიკვარულ ნივთებს,
ნახატ სურათებს,
ძველ წიგნებს და ფაიფურს.
ტელ: 598-43-98-57

# არჩილ გამზარდია: „ყველა ხელისუფლება ილია მეორეს ებრძვის“

გულიკო ბალაძე



„ახალი თაობის“ კითხვებს ანალიტიკოსი **არჩილ გამზარდია** პასუხობს.

***— ბატონო არჩილ, იმ დაპირისპირების პროცესში, რომელიც გამოიწვია მეუფე იაკობის განცხადებამ, რომ ხელისუფლებას სურს პატრიარქის გადაყენება, თვით მეუფის გარკვეული თანამდებობიდან წასვლა მოჰყვა. თქვენ ამბობთ, რომ მეუფე იაკობის წასვლას შეიძლება პატრიარქის გადაყენება მოჰყვეს. რის საფუძველზე აკეთებთ ამგვარ განცხადებას?***

— მეუფე იაკობმა ქორეპისკოპოსობაზე უარი თქმით უფრო მეტი თავისუფლება მოიპოვა. ეს მას საკუთარი მოსაზრებების გამოთქმას გაუადვილებს. მე ამას ვუკავშირებ ხელისუფლების მცდელობას, კიდევ ერთი ნაბიჯით პატრიარქისკენ გადაინაცვლოს.

***— თვითონ მეუფე იაკობის განცხადება თქვენთვის დამაჯერებელია?***

— მეუფე იაკობს ახალი არაფერი უთქვამს. ამ თემებზე ჟურნალისტები მუდმივად ვლაპარაკობდით. მის განცხადებაზე, რომ მზადდებოდა პატრიარქის გადაყენება (რაშიც ვანო ჩხარტიშვილის მეშვეობით ხელისუფლების წარმომადგენლები იყვნენ ჩართული), საზოგადოება ფართოდ მსჯელობს. ამიტომაც მისი განცხადება ჩემთვის დამაჯერებელია. რადგან განცხადება ქორეპისკოპოსმა გააკეთა, მისი დამაჯერებლობის ხარისხმა უფრო აიწია. პრობლემაა ის, რომ ხელისუფლების მცდელობა უფრო და უფრო ძლიერდება პატრიარქის წინააღმდეგ.

***— როგორ?***

— პატრიარქისთვის ყველაზე სანდო დასაყრდენს, მთავარეპისკოპოს იაკობს, ქორეპისკოპოსის სტატუსი ჩამოშორდა. ამით ხელისუფლება სულ უფრო მიუახლოვდა პატრიარქს. თუ შევაფასებთ, რა მოვლენებიც მიმდინარეობს, არ არის გამორიცხული, ხელისუფლების მოწადინებას სინოდის სხდომაზე პატრიარქის გადაყენება მოჰყვეს ან შეიძლება ისეთი ტიპის კამპანია წამოიწყონ პატრიარქის წინააღმდეგ, გადადგომის შესახებ გადაწყვეტილება თავად პატრიარქმა მიიღოს.

***— თვითონ მეუფე იაკობს ხომ შეეძლო, ჯერ გადამდგარიყო და მერე ესაუბრა ამ საკითხებზე, თუ მისი თანამდებობებიდან წასვლა პატრიარქისა და საპატრიარქოს ნება არ იყო?***

— შეიძლებოდა, მაგრამ მეუფე იაკობმა განცხადებები ემოციურად მძიმე მდგომარეობაში მყოფმა გააკეთა.

***— რას ნიშნავს ემოციურად მძიმე მდგომარეობა?***

— ამას ვუკავშირებ ბოლო პერიოდში ხელისუფლების დარტყმების კიდევ უფრო გაძლიერებას. ამიტომ რაღაც მომენტში მეუფე იაკობმა ემოციურ ფონზე გააკეთა განცხადებები. ემოციურ ფონში მისი განცხადებების ფორმას ვგულისხმობ (მიუღებელ ლექსიკასა და ფორმას, რომელზეც მან თვითონაც ბოდიში მოიხადა) და არა შინაარსს.

მთლიანობაში, პროცესები რაღაცნაირად ხელისუფლებისაგან არის ინსპირირებული. უფრო მეტიც, ჩემთვის უკვე დამაჯერებელი ხდება მოსაზრება, რომ პატრიარქის ლიკვიდაციის მცდელობაც ხელისუფლებიდან მოდის, რაზეც საზოგადოება ლაპარაკობს.

***— თუ ასე იყო, რამ შეუშალა ხელი?***

— მაშინ ეს არ გამოუვიდათ, რადგან ამის რისკი წინასწარ გავასაჯაროვე ერთ-ერთი ტელეკომპანიის საშუალებით.

***— ეგ ძალიან დიდი ბრალდებაა, როდესაც ამბობთ, რომ ხელისუფლებას სურდა პატრიარქის მოკვლა.***

— არ ვამბობ, რომ კვალიფიკაციას ვაძლევ, ცალსახად ხელისუფლება ცდილობდა ლიკვიდაციას. მე უფრო არ გამოვრიცხავ, რომ ეს მცდელობა იყოს. რაკიღა მე მყარად ვლაპარაკობ, რომ პატრიარქის ლიკვიდაციის მცდელობა იყო, საკმაოდ დიდი ალბათობით, ვხედავ, რომ ეს შეიძლებოდა ყოფილიყო ხელისუფლების მოწადინება. ამას ვერ გამოვრიცხავ, რადგან ფაქტები ასე ლაგდება.

***— ახლანდელ ხელისუფლებას რატომ უნდა უნდოდეს პატრიარქთან დაპირისპირება, გადაყენება ან მოკვლა მაშინ, როდესაც თვითონ პატრიარქი არ უპირისპირდება ხელისუფლებას, ხელისუფლებისთვის რაიმე საფრთხეს არ წარმოადგენს?***

— პატრიარქი ყოველთვის ლავირებდა ხელისუფლებასთან ურთიერთობაში. მართალია, ილია მეორე ნორმალურ ურთიერთობაში იყო ხელისუფლებასთან, მაგრამ ურთიერთობის ლავირებას თვითონ ახერხებდა, პატრიარქს კი არ ატრიალებდა თავის გემოზე ხელისუფლება. რაღაცებში თვითონ კომპრომისზე მიდიოდა, რაღაცებზე ხელისუფლება მიდიოდა მასთან კომპრომისზე. ამ წუთისთვის მთავარია არა თვითონ ილია მეორე, როგორც პერსონა, არამედ მისი ადგილი.

**პატრიარქი დღეს აღარ არის იმ მდგომარეობაში, რომ მართავს ისე, როგორც ადრე მართავდა. ვხედავთ, რომ სინოდის დამორჩილებაც უჭირს და საპატრიარქოც მთელ რიგ პროცესებთან დაკავშირებით გარე რეჟიმშია, ხშირად სიტუაციას ველარ ფლობს და ბევრი მანკიერება ხდება**

***— პატრიარქის ადგილი უმნიშვნელოვანესია, მაგრამ 100 წლის შემდეგ, თუ პატრიარქი აღარ იქნებოდა, ვერ მოახერხებდა ხელისუფლება გავლენის მოხდენას, თუ ეს უნდოდა?***

— ჩვენ ხომ არ ვიცით, როცა პატრიარქი არ იქნება, ხელისუფლებაში ვინ იქნება. „ქართული ოცნება“ ჩქარობს, მას დიდი დრო არ აქვს, თანაც მის პოლიტიკურ სტაბილურობას წყალი აქვს შეყენებული. ამიტომ სჭირდება, უძლიერესი, ყველაზე გავლენიანი, ფინანსურად ძლიერი ინსტიტუციის თავში პატრიარქის სახით „ქართული ოცნებისთვის“ სასურველი პირი იყოს ან, პირიქით, დაეხმაროს „ქართულ ოცნებას“ ძალაუფლების შენარჩუნებაში. ეს არის მთავარი მისია. ასეა შიდა პოლიტიკურ დონეზე. ასევე არის გარე ძალების ინტერესები, რომელიც რაღაც ფორმით იკვეთება ხელისუფლების ინტერესებთან.

***— რატომ შეიძლება დარწმუნებული იყოს ხელისუფლება, ან ვინმე, რომ ახალი ფიგურა პატრიარქის პოსტზე, თუნდაც მათი მოყვანილი იყოს, ანგარიშს გაუწევს, მათ ინტერესს გაატარებს?***

— პატრიარქი დღეს აღარ არის იმ მდგომარეობაში, რომ მართავს ისე, როგორც ადრე მართავდა. ვხედავთ, რომ სინოდის დამორჩილებაც უჭირს და საპატრიარქოც მთელ რიგ პროცესებთან დაკავშირებით გარე რეჟიმშია, ხშირად სიტუაციას ველარ ფლობს და ბევრი მანკიერება ხდება. ამიტომაც ხელისუფლებას უნდა, პირდაპირ დასვას ადამიანი, რომელიც მის ინტერესებს შეასრულებს, ხელისუფლებას პოლიტიკურ მდგრადობას გაუძლიერებს.

თეორიული შანსი იმისა, რომ შეიძლება ვიღაც მომავალში ხელისუფლებას არ დაემორჩილოს, რაც თქვენ ბრძანეთ, რა თქმა უნდა, არის, მაგრამ დაუმორჩილებლობის შანსი უფრო ნაკლებია, ვიდრე ის, რომ ინსტიტუციამ თვითონ გადაწყვიტოს. ამიტომაც თითქმის ყველა ხელისუფლება აქტიურ მცდელობაშია, თავის სასარგებლო ურთიერთობაში იყოს. ამას ზოგან შანტაჟით, ზოგან გარიგებით, ზოგან დამაჯერებლობით, ზოგან მეგობრობით ახერხებს.

***— თქვენ საუბრობთ ხელისუფლებისა და ეკლესიის ომებზე, ამ „ომის“ ისტორიას პირდაპირ იწყებთ ბიძინა ივანიშვილისკენ ისრების მიმართვით. ამის თქმის საშუალებას რა გაძლევთ, ბიძინა ივანიშვილმა ზოგადად რომ თქვა, ყველა შეიძლება გაკრიტიკდეს, მათ შორის, პატრიარქიცო თუ შიდა კულუარულ საუბრებზე ხართ ინფორმირებული?***

— შეიძლება, ბევრი რამ მაძლევდეს ამის თქმის საბაბს, მაგრამ მე გავაკეთე მოვლენების ანთოლოგია. ეს ყველაფერი დაიწყო 2003 წლის 17 მაისის მოვლენებით. შემდეგ იყო ბიძინა ივანიშვილის გადაცემა, სადაც პირველად დადგა საკითხი ფართო დონეზე. მანამდე თუ ვინმე პატრიარქს გააკრიტიკებდა, აბსოლუტურად გამარგინალებული იყო. მე, როგორც ფაქტი, ისე ავსახე. ხელისუფლებისა და ეკლესიის ომებზე წერილით ფაქტების ანთოლოგიაა.

***— მე, მაგალითად, როგორც ჟურნალისტს, პირდაპირ გამიკრიტიკებია პატრიარქი ინტერვიუში. არ ვიწონებდი, გადატრიალების შემდეგ პუტჩისტების შეკრებაზე სპორტის სასახლეში რომ მივიდა, სადაც იყო პუტჩისტების მთელი ნაღები საზოგადოება, რომელშიც მხედრიონელებიც მონაწილეობდნენ, რომელთა ერთ-ერთ წარმომადგენლად მეუფე იაკობსაც ასახელებენ.***

— მეუფე იაკობი მხედრიონში არასოდეს ყოფილა.

***— მეუბნებიან, რომ მხედრიონში იყო და იბრძოდა გამსახურდიას წინააღმდეგ.***

— არა, ამაზე მეუფემაც და მისმა მხარემაც ოფიციალური განცხადება გააკეთეს.

***— მე ვაკრიტიკებდი 25 წლის წინ, რომ არ დადგა ეროვნული ხელისუფლების გვერდით, მაგრამ ეს არ ნიშნავს მის წინააღმდეგ ომს.***

— არა, რა თქმა უნდა, მაგრამ, ჯერ ერთი, ეს პრეცედენტები იშვიათი იყო. მეორეც, მე ბიძინა ივანიშვილს კი არ ვაკრიტიკებ მსგავსი განცხადების გამო, პირიქით, მხარი დავუჭირე. დიახაც, ტაბუდადებული პიროვნებები არ უნდა არსებობდნენ. მე ვსაუბრობ იმაზე, ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ რა დინებები დაიწყო პატრიარქთან, ეკლესიასთან და საპატრიარქოსთან დაკავშირებით. მერე გავაგრძელე დანარჩენი ფაქტებით.

***— ბოლო წლებში პატრიარქი ნამდვილად იქცა იმ ფიგურად, რომელსაც ქართველი ერის უდიდესი უმრავლესობა მხარს უჭერდა. ამიტომ ხელისუფლება მართლა უგუნური უნდა იყოს, მის წინააღმდეგ ბრძოლა რომ წამოიწყოს.***

— პატრიარქი უკვე ასაკშია და ეს საკითხი აქტიურად დგას. როცა ილია მეორე ახალგაზრდა იყო, თითქმის არც ერთი ხელისუფლების მოწინააღმდეგე არ იყო. საერთო ჯამში, ყველა ხელისუფლება, რომლებიც საქართველოში გვახსოვს, ილია მეორის წინააღმდეგ სხვადასხვა ფორმით იბრძოდა. ამას ისტორიკოსები უფრო დაწვრილებით მოყვებიან. ეს ბრძოლა მუდმივად იყო.

***— გამორიცხავთ, რომ მეუფე იაკობი განაწყენებული იყოს, რადგან თავის მოსაყდრედ პატრიარქმა მეუფე შიო აირჩია და არა მეუფე იაკობი? რატომ გამორიცხავთ, რომ მეუფე იაკობსაც უნდოდეს პატრიარქის ადგილი?***

— გამოვრიცხავ, რადგან თეორიულად არასოდეს დამდგარა, მათ შორის მეუფე იაკობისთვის, არც მისი გარემოცვისთვის და არსად მისი გაპატრიარქების საკითხი. პატრიარქის ვინაობას ილია მეორე არ წყვეტს. ოფიციალურად სინოდმა უნდა მიიღოს გადაწყვეტილება. საპატრიარქოში და პატრიარქთან იაკობს ისედაც მნიშვნელოვანი სტატუსი ჰქონდა. ამიტომ, იაკობის შესაძლებლობებიდან და განწყობებიდან გამომდინარე, შეუძლებელია, ის პატრიარქი გამხდარიყო. ამის სურვილი არც ჰქონია.

***— თქვენ რეალურად ელოდებით პატრიარქის გადადგომას?***

— მე ველოდები დარტყმის მცდელობას. ჩემი სტატუსი, როგორც თავის დროზე პატრიარქის ლიკვიდაციის მცდელობასთან დაკავშირებული, პრევენციადაც იქცა.

***— რა სახით შეიძლება, დაარტყან პატრიარქს?***

— შეიძლება, იყოს მორალური — მაკომპრომეტირებელი მასალები, შეიძლება, სინოდის წევრებზე ზეგავლენით პატრიარქის გადაყენება და ფიზიკური ლიკვიდაციის სახით. მე ამ ყველაფერზე პრევენციისთვის ვლაპარაკობ. რადგან ამაზე ფართოდ დაიწყო ლაპარაკი, თუ პატრიარქს რამეს ავნებენ, ხელისუფლება ვერაფრით დაარწმუნებს იმაში, რომ ეს მისი ნამუშევარი არ არის. მე ვცდილობ, ამის პრევენცია მოვახდინო.

# გიორგი გუგავა: „საქართველოში აუცილებელია ამერიკული სამხედრო ბაზების განლაგება“

## „ეს მდგომარეობა იმიტომ მივიღეთ, რომ სახელმწიფო და ეკლესია ერეოდნენ ერთმანეთის საქმეებში“

მარიამ მჭედლიშვილი

რამდენიმე აქტუალურ საკითხზე „ახალი თაობა“ ესაუბრა ლეიბორისტული პარტიის ერთ-ერთ ლიდერ **გიორგი გუგავას.**

***— 28 ოქტომბერს საქართველოს რამდენიმე სტრუქტურაზე მოხდა კიბერშეტევა და ვებგვერდებზე გამოჩნდა მიხეილ სააკაშვილის ფოტო მინაწერით „მე დავბრუნდები“. როგორ გგონიათ, სააკაშვილის დაბრუნება ქვეყანაში შესაძლებელია?***

— ჰაკერულ შეტევებზე პასუხისმგებელია ხელისუფლება. მას უნდა ჰქონდეს უზრუნველყოფილი ისეთი სისტემები, რომ ასეთი რამ არ მოხდეს.

ჰაკერული დანაშაულისგან ქვეყანა დაზიანდა 2008 წელს. მაშინ ჰაკერული თავდასხმის შედეგად გაითიშა ქსელები და მოხდა უწყებების პარალიზება. ამ ხელისუფლებას სხვაგან ყველგან გაბერილი აქვს შტატები და სადაც საჭიროა, იქ საქმეს ვერ აკეთებს. სახელმწიფო სამსახურები გავსებულია უსაქმურებით, რომლებიც წამოწოლილი არიან, არაფერს აკეთებენ და უზარმაზარ ჯამაგირებს იღებენ.

ამ სახის დანაშაული გლობალური ხასიათისაა. სხვა სახელმწიფოები მას ეფექტურად და უნარიანად ებრძვიან. ჩვენთან ეს მიმართულება მოწყვლადია. ეს სფეროც, ისევე, როგორც სხვა სფეროები, ჩამოშლილია.

ვინ მოახდინა ეს შეტევა, შესაბამისმა ორგანოებმა უნდა გაარკვიონ. ალბათ, ამას პიარული დანიშნულება ჰქონდა. სააკაშვილი ისედაც ჩართულია პოლიტიკაში. ამას მას ვერავინ აუკრძალავს. მას ჰყავს თავისი მომხრეები.

***— მის დაბრუნებას არ ვარაუდობთ?***

— ჩვენ წინ უნდა ვიაროთ. ახლანდელი ოლიგარქიული სისტემა სწორედ სააკაშვილის 9-წლიანი მმართველობის დროს ჩაისახა, შემდეგ კი გაძლიერდა. ნაციონალების „დამსახურებაცაა“, რომ ასეთი საშინელი სისტემა გვაქვს. სულ ამ დღეში ხომ არ ვიქნებით! ოლიგარქებს დაპყრობილი აქვთ ძალაუფლება, ბიზნესი და მთელი ქვეყნის ქონება. ხალხმა თვითონ იცის, რა მდგომარეობაში იმყოფება. მდგომარეობა შესაცვლელია. ქვეყანა უნდა განვითარდეს.

***— 2020 წლის შემდეგ ეს შესაძლებელია?***

— თუ ხელისუფლებაში მოვალთ ჩვენ, ლეიბორისტები, სხვებთან კოალიციური თანამშრომლობით შევცვლით სისტემას.

***— როგორ?***

— მთავარია ორი სასიცოცხლო ამოცანის შესრულება. პირველი — ოლიგარქიული სისტემის დაშლა. ჩვენი რეფორმებით, მთელი ეროვნული სიმდიდრის პატრონები აღარ იქნებიან ოლიგარქები. ამ ოლიგარქებმა გამოიწვიეს სახელმწიფო ინსტიტუტების დასუსტება და დაშლა, რამაც საფრთხე შეუქმნა ქვეყნის დამოუკიდებლობას, სახელმწიფოს არსებობას. ამ მონსტრის დამარცხებით აღდგება ინსტიტუტების ნორმალური ფუნქციონირება.

მეორე ამოცანაა სამართლიანი პოლიტიკური სისტემისა და სოციალური სამართლიანობის დამკვიდრება. ოლიგარქებმა უნდა გააძლიერონ ბიზნესი, შექმნან სამუშაო ადგილები, განახორციელონ მეწარმეობა.

***— და თავი დაანებონ პოლიტიკას?***

— პოლიტიკას უნდა მიხედოს პოლიტიკურმა კლასმა. ეროვნული სიმდიდრე უნდა განაწილდეს ყველაზე. ყველა ადამიანი უზრუნველყოფილი უნდა იყოს მინიმალური სოციალური გარანტიებით — ჯანდაცვით, განათლებითა და სხვა.

***— უსაფრთხოებასაც უფრო მეტი ადგილი უნდა დაეთმოს?***



— თავისთავად. შიდა გამოწვევის გარდა, ჩვენ ვდგავართ გეოპოლიტიკური გამოწვევების წინაშე. საქართველოს უსაფრთხოებისთვის აუცილებელია ქვეყანაში ამერიკული სამხედრო ბაზების განლაგება. იაპონიასა და ისრაელში ამერიკული ბაზებია და ვხედავთ, რომ ეს სახელმწიფოები ძალიან ძლიერები არიან ყველანაირად. მათ შორის, ეკონომიკურად.

***— თუ 2020 წლის არჩევნებში დომინანტი ნაციონალური მოძრაობა აღმოჩნდა, მაშინ შესაძლებელია სააკაშვილის დაბრუნება?***

— ჩვენ ჩვენი გათვლები და მიზნები გვაქვს. როგორც გითხარით, გვინდა, რომ ქვეყანა წინ წავიდეს და სოციალური სამართლიანობა დამყარდეს. ასეთი გეგმები ადრევე გვქონდა. დრომ აჩვენა, რომ ჩვენ მართლები ვიყავით.

***— შაბათიდან მოყოლებული, მეუფე იაკობის განცხადებების შემდეგ, პოლიტიკოსებმა ზოგადად ეკლესიის საკითხი წამოსწიეს. მათი ნაწილი სასულიერო პირების დაფარულ ცოდვებზე ალაპარაკდა, მეორე ნაწილი კი თვლის, რომ ეკლესიაზე მორიგი იერიში გამძაფრდა.***

— ჩვენმა კონსტიტუციამ სახელმწიფო და ეკლესია ერთმანეთისგან გაყო. ეს აპრობირებული დასავლური მოდელია. ეს მდგომარეობა იმიტომ მივიღეთ, რომ სახელმწიფო და ეკლესია არღვევდნენ კონსტიტუციას და ერეოდნენ ერთმანეთის საქმეებში.

***— ორივე მხარე სცოდავდა?***

— რასაკვირველია. საპატრიარქო ერეოდა პოლიტიკაში, ბიზნესსა და ბევრ იმ სფეროში, რომელიც ეკლესიასთან არ იყო დაკავშირებული. საერო ხელისუფლებაც ჩართული იყო ეკლესიის საქმეებში. ამიტომ, გასაკვირი არ არის, რომ ხელისუფლებამ მოინდომა მისთვის სასურველი სასულიერო პირების, მისთვის სასურველი პატრიარქის მოყვანა, ამ ინსტიტუტის არჩევნებისთვის გამოყენება.

***— გამოსავალს იმაში ხედავთ, რომ ყველამ თავისი ფუნქცია უნდა შეასრულოს?***

— ცხადია. ეკლესია უნდა ემსახურებოდეს ღმერთს და სულიერებას. საერო ხელისუფლებამ თავისი საქმე უნდა აკეთოს და საპატრიარქოს საქმეებში არ უნდა ჩაერთოს.

რაც ხდება, სახელმწიფოს, ერისა და ბერის ბრალია. სახარება ამბობს, რომ არ შეიძლება, ორ ბატონს მსახურებდე — ღმერთსაც და მამონასაც. მამონა სიმდიდრესა და მომხვეჭელობას გულისხმობს.

სამწუხაროდ, საპატრიარქოშიც კრიზისი გვაქვს, ისევე, როგორც თითქმის ყველა სხვა სფეროში.

ოლიგარქიულმა მმართველობამ ინსტიტუტები ჩამოშალა.

# ირაკლი ოქრუაშვილმა ადვოკატები მამუკა ჭაბაშვილი და ბონდო ვათიაშვილი აიცილა



გუშინ, 29 ოქტომბერს, თავდაცვის ყოფილმა მინისტრმა, ბრალდებულმა ირაკლი ოქრუაშვილმა ადვოკატები აიცილა.

აღნიშნული შუამდგომლობა სასამართლო პროცესზე ოქრუაშვილმა ციხიდან წერილობით დააყენა. მან საკუთარ განცხადებაში მამუკა ჭაბაშვილისა და ბონდო ვათიაშვილის აცილება მოითხოვა.

სასამართლოსთვის გაგზავნილ განცხადებაში ოქრუაშვილმა გონივრული ვადა მოითხოვა იმისთვის, რომ ახალი ადვოკატი დაენიშნოს.

სასამართლო პროცესს თავად ირაკლი ოქრუაშვილი პროტესტის ნიშნად კვლავ არ დასწრებია.

როგორც მოსამართლე ლავრენტი მაღლაკელიძემ განაცხადა, ირაკლი ოქრუაშვილს სავალდებულო წესით ადვოკატი დაენიშნება.

ოქრუაშვილის გადაწყვეტილებაზე კომენტარი ადვოკატმა მამუკა ჭაბაშვილმა გააკეთა.

სხდომის დასრულების შემდეგ ჭაბაშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ მასა და ირაკლი ოქრუაშვილს შორის ცუდი არაფერი მომხდარა, უბრალოდ, აღნიშნულ საქმეში მას ველარ დაიცავს.

– ამ მიზეზებზე მე არ ვილაპარაკებ. შეგვიძლია მოკლე კომენტარით შემოვიფარგლოთ, რომ ეს მისი დაცვის სტრატეგიაა. ჩვენ შორის ნამდვილად ცუდი არაფერი მომხდარა. მისი უფლებაა, რომ ადვოკატი აირჩიოს, ან საერთოდ არ ჰყავდეს. ასე რომ, ამ მხრივ პრობლემას ვერ ვხედავ.

ბუნებრივია, მასთან ურთიერთობა მექნება. გუშინ ვისაუბრეთ, მოვიფიქრებ და ხვალ წერილით შევატყობინებ სასამართლოსო, მითხრა. ეს გადაწყვეტილება, რა თქმა უნდა, მეც დღეს მოვისმინე სასამართლოში. ბუნებრივია, ამ საქმეზე მე მისი ადვოკატი ვერ ვიქნები, – განაცხადა ჭაბაშვილმა.

ინტერპრესნიუსის კითხვაზე, ირაკლი ოქრუაშვილის მხრიდან ხომ არ აქვს ადგილი საქმის გაჭიანურებას, ვინაიდან ბრალდების მხარეს 400-ზე მეტი მოწმე ჰყავს დასაკითხი და ხომ არ ფიქრობს ოქრუაშვილი, რომ 9-თვიან ვადაში, მისთვის ბრალის დამტკიცებას ვერ შეძლებენ, ადვოკატი პასუხობს, რომ ოქრუაშვილის სტრატეგია ამას არ უკავშირდება.

– ვერ გეტყვით, ისინი ბრალდების მოწმეები არიან, მათი გადასაწყვეტია, ვის მოიყვანენ და ვის – არა. ვადა საკმაოდ არის, წინ მთელი ექვსი თვეა. ასე რომ, არ მგონია, მისი სტრატეგია ამას უკავშირდებოდეს. თუმცა, იმ პირობებში, რა პირობებშიც ირაკლი ოქრუაშვილი იმყოფება, ამაში ვგულისხმობ იმას, რომ შეზღუდული აქვს სატელეფონო კომუნიკაცია და პაემანი, სასამართლოს მხრიდან დროის არმიცემა და 5 ნოემბრისთვის უკვე სახაზინო ადვოკატის ჩართვა შემდეგი პროცესისთვის, არასწორია.

ამით მისი უფლებები იზღუდება. ეს არ არის ის დრო, რომ ამ პირობებში ადვოკატი იპოვოს, შედგეს მასთან კომუნიკაცია და შეთანხმდნენ გარკვეულ პირობებზე. მე ვფიქრობ, რომ სასამართლო არასწორად მოიქცა. არ ვიცი, რატომ, მაგრამ სასამართლო ჩქარობს.

პროცესების ჩანიშვნა ერთ კვირაში, როდესაც ადამიანი იზოლაციაშია და კომუნიკაცია არ აქვს გარე სამყაროსთან, ეს დრო ძალიან ცოტაა, რომ ნახოს ადვოკატი, – განაცხადა ჭაბაშვილმა.

ირაკლი ოქრუაშვილმა ახალ ადვოკატთან კომუნიკაცია სასულიერო პირის მეშვეობით ითხოვა.

„გთხოვთ, გაითვალისწინოთ ის გარემოება, რომ პროკურატურისგან გარე სამყაროსთან კომუნიკაცია აკრძალული მაქვს. შესაბამისად, ახალი ადვოკატის ასაყვანად კომუნიკაცია უკეთეს შემთხვევაში შესაძლოა, ახლო მომავალში თეორიულად შევძლო ჩემთან შემოსული სასულიერო პირის მეშვეობით. ისიც იმ შემთხვევაში, თუკი, ასეთი იარსებებს“ – ნათქვამია ოქრუაშვილის განცხადებაში.

ამასთან დაკავშირებით ადვოკატმა ჭაბაშვილმა ასეთი კომენტარი გააკეთა:

– ოქრუაშვილმა ერთ-ერთ შესაძლო ვარიანტად აღნიშნა სასულიერო პირი. მე და ბონდო ვათიაშვილს, ბუნებრივია, კომუნიკაცია აღარ გვაქვს ამ საქმესთან დაკავშირებით, არც ოჯახის წევრებს და ერთადერთი შესაძლო პირი, თუ მასთან შევა, სასულიერო პირია, რომ მას დააბაროს პოზიცია ახალ ადვოკატთან დაკავშირებით. ეს იგულისხმა მხოლოდ.

შეგახსენებთ, რომ ირაკლი ოქრუაშვილი 25 ივლისს, 20-21 ივნისის მოვლენებთან დაკავშირებით, დააკავეს.

# კიბერშეტევა, შესაძლოა, უცხო ქვეყნიდან ყოფილიყო განხორციელებული



კიბერშეტევა, შესაძლოა, განხორციელებული იყოს როგორც ქვეყნის შიგნიდან, ასევე, რომელიმე უცხო ქვეყნიდან.

ამის შესახებ ინფორმაციას შინაგან საქმეთა სამინისტრო ავრცელებს. შინაგან საქმეთა სამინისტრო, გამოძიების ფარგლებში, აქტიურად თანამშრომლობს პარტნიორი ქვეყნების სამართალდამცავ უწყებებთან, ინტენსიურ რეჟიმში მიმდინარეობს ინფორმაციის გაცვლა.

„შინაგან საქმეთა სამინისტრო მიმდინარე წლის 28 ოქტომბერს სხვადასხვა ქართულ ვებგვერდზე განხორციელებულ კიბერშეტევასთან დაკავშირებით განაგრძობს ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებებს.

მიმდინარეობს ყველა იმ პირის გამოკითხვა, ვინც შესაძლოა, გამოძიებისთვის მნიშვნელოვან ინფორმაციას ფლობდეს, ასევე, ტარდება ტექნიკური მოწყობილობების დათვალიერება.

დანიშნულია შესაბამისი ექსპერტიზები.

ამ დროისთვის, უმეტეს ვებგვერდებზე წვდომა აღდგენილია. უახლოეს პერიოდში სხვა ვებგვერდების ფუნქციონირებაც სრულად აღდგება.

შესაძლოა, კიბერშეტევა განხორციელებული იყოს როგორც ქვეყნის შიგნიდან, ასევე, რომელიმე უცხო ქვეყნიდან.

შინაგან საქმეთა სამინისტრო, აღნიშნული გამოძიების ფარგლებში, აქტიურად თანამშრომლობს პარტნიორი ქვეყნების სამართალდამცავ უწყებებთან, ინტენსიურ რეჟიმში მიმდინარეობს ინფორმაციის გაცვლა.

ამ ეტაპზე ჩატარებული საგამოძიებო ღონისძიებებით დგინდება, რომ განხორციელდა კიბერშეტევა, რომლის დროსაც შეიცვალა ვებსაიტების მთავარი გვერდები – ე.წ. დიფეისები.

დაზარალებული კომპანიების უდიდეს ნაწილს ჰოსტინგურ მომსახურებას უწევენ ქართული კერძო კომპანიები. თითოეულ ვებგვერდზე კიბერშეტევის სტილი არის იდენტური.

28 ოქტომბერს, ასევე, გავრცელდა ინფორმაცია, რომ კიბერშეტევა განხორციელდა ქართული ტელეკომპანიების სერვერებზეც.

ამ ეტაპზე, აღნიშნული კომპანიების ვებსერვერებზე მსგავსი ტიპის კიბერშეტევა არ განხორციელებულა, თუმცა ტარდება შესაბამისი ღონისძიებები ზუსტი გამომწვევი მიზეზის დადგენის მიზნით“ – ნათქვამია შსს-ს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

სხვადასხვა ქართულ ვებგვერდზე უნებართვო შეღწევისა და მონაცემების უნებართვო შეცვლის ფაქტზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 284-ე მუხლის 1-ელი ნაწილით და 286-ე მუხლის 1-ელი ნაწილით მიმდინარეობს.

# საზარელი ავარია ქობულეთში

## დაიღუპა 2 მე-12 კლასელი, 4 დაშავდა



გუშინ, 29 ოქტომბერს, ავტოსაგზაო შემთხვევას ქობულეთში ორი მე-12 კლასელის სიცოცხლე ემსხვერპლა.

კურიერის ინფორმაციით, სოფელ ქობულეთიდან, ქობულეთის მიმართულებით მოძრავი ოპელის მარკის ავტომობილი გზის სავალი ნაწილიდან გადავიდა და ხეს შეეჯახა.

წინასწარი ინფორმაციით, საჭეს არასრულწლოვანი მართავდა. მანქანაში სულ 5 მოსწავლე იჯდა. სხეულის სხვადასხვა დაზიანებით, 3 დაშავებული ქობულეთის საავადმყოფოში გადაიყვანეს.

შემთხვევის ადგილზე მობილიზებული იყო პოლიცია.

შსს-ს ცნობით, ფაქტზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 276 მუხლით დაიწყო.

# პირველი გიმნაზიის მოსწავლე გოგონას ბებიის თვალწინ იტაცებდნენ

## დამნაშავე დაკავებული არ არის



რამდენიმე დღეა, პირველი გიმნაზიის დაწყებითი კლასის მოსწავლეების მშობლები შეშინებულები არიან და ბავშვებს სკოლაში სასწავლო პროცესის პარალელურად მარტო არ ტოვებენ.

ამის შესახებ ინფორმაციას ტელეკომპანია „მთავარი“ ავრცელებს.

შემთხვევა გასულ კვირას, ოთხშაბათს მოხდა, როდესაც სკოლის ერთ-ერთი მოსწავლის გატაცება შუახნის მამაკაცმა მიწისქვეშა გადასასვლელიდან სცადა.

საბედისწერო მომენტში, როდესაც მამაკაცი არასრულწლოვანის მოტყუებით წაყვანას ცდილობდა, მან ვერ დაინახა, რომ ბავშვი ბებიასთან ერთად იყო. უცნობის საეჭვო ქცევის გამო ბებიამ ყვირილი დაიწყო და შველა ითხოვა.

ადგილზე საპატრულო პოლიცია გამოიძახეს. სავარაუდო დამნაშავე შემთხვევის ადგილიდან გაიქცა.

ტელეკომპანიის ცნობით, ეს არ იყო პირველი შემთხვევა, როდესაც ქალაქის ცენტრში მდებარე სკოლის მოსწავლეებმა უცნობი მამაკაცის საეჭვო ქცევა შეამჩნიეს.

შსს-მ გამოძიება სქესობრივი კავშირის, ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი მოქმედების მუხლით დაიწყო, თუმცა დამნაშავე ამ დრომდე არ არის დაკავებული.

კომენტარს არ აკეთებს პირველი კლასიკური გიმნაზიის დირექტორი, თუმცა მომხდარს ადასტურებს პედაგოგი, რომელმაც მშობლები მოსალოდნელ საფრთხეზე გააფრთხილა. ირმა კალმახელიძის თქმით, ოთხშაბათს მომხდარი ინციდენტის შემდეგ ყველა მშობელს შვილები განსაკუთრებულ კონტროლზე ჰყავს.

– ამ ფაქტის შესახებ გავიგე ერთ-ერთი მშობლისგან. ბავშვს უცნობი პიროვნება მოეფერა. ინფორმაციის დაზუსტების შემდეგ ყველა მშობელს აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია მივაწოდეთ, – განაცხადა ირმა კალმახელიძემ.

სამართალდამცველებმა უკვე გამოჰკითხეს მცირეწლოვანი და მისი ბებია, რომელიც იქვე იყო და ყველაფერი დაინახა.

# აფეთქება თევდორე მღვდლის ქუჩაზე

## დაზიანდა მე-4-5 სართულები




თევდორე მღვდლის ქუჩაზე მდებარე კორპუსში, სადაც 28 ოქტომბერს აფეთქება მოხდა, პირველადი ვიზუალური დათვალიერებით, სავარაუდოდ, მეხუთე და ნაწილობრივ, მეოთხე სართულებია დაზიანებული.

ამის შესახებ თბილისის საგანგებო სიტუაციების მართვის მთავარი სამმართველოს უფროსმა, ოთარ კერესელიძემ განაცხადა.

– ხუთსართულიანი კორპუსის მეხუთე სართულზე, პირველადი ინფორმაციით, მოხდა გაზის აფეთქება, ჩვენი ინფორმაციით, დაშავებულია მხოლოდ ერთი პიროვნება, რომელიც მეხანძრე-მაშველების მიერ იქნა გამოყვანილი სართულიდან. ის იმ ბინის მობინადრეა, სადაც მოხდა აფეთქება, დაბადებულია 1942 წელს. ის გადაყვანილია სასწრაფო სამედიცინო დახმარების მანქანით საავადმყოფოში.

ამ დროისთვის ადგილზე მობილიზებულია ყველა შესაბამისი სამსახური, მიმდინარეობს სახლის დათვალიერება, მერიის სამსახურებიც ადგილზე არიან, თუ რამდენად უსაფრთხოა კორპუსი, დასჭირდება გამაგრება, თუ რა სამუშაო იქნება ჩასატარებელი.

აფეთქებას ნგრევა მოჰყვა, აფეთქებულია მეხუთე სართული. პირველადი ვიზუალური დათვალიერებით შეიძლება თქმა, რომ შეიძლება, კორპუსი მთლიანად არ არის დაზიანებული, არამედ დაზიანებულია მხოლოდ მეხუთე და მეოთხე სართული ნაწილობრივ. ექსპერტები შესულები არიან, ათვალიერებენ შენობას და მალე დადებენ დასკვნას, თუ რა სიტუაციაა, – განაცხადა კერესელიძემ.

მანვე უპასუხა კითხვას, თუ რამდენ ხანში იყო ხანძარი ლიკვიდირებული.

– ხანძარი ლიკვიდირებული იყო ადგილზე მისვლის შემდეგ დაახლოებით 2-3 წუთში. პირველადი ინფორმაციით, აფეთქების მიზეზი იყო გაზის დაგროვება. განხორციელდა მცხოვრებლების დროული ევაკუაცია, – აღნიშნა კერესელიძემ.

ადგილობრივები ამბობენ, რომ ადგილზე ბუნებრივი აირის სუნი იგრძნობოდა.

– ძლიერი აფეთქების ხმა გავიგონეთ, გვერდით კორპუსში ვცხოვრობ და საზარელი ხმა იყო. ასე ამბობენ, რომ ბუნებრივი აირიაო... აქეთ ამბობენ, რომ სუნი იგრძნობოდაო, – თქვა ერთ-ერთმა მოქალაქემ.

# მამის განზრახ მკვლელობაში ბრალდებულს 15 წლით პატიმრობა მიესაჯა

ქუთაისის საქალაქო სასამართლომ სრულად გაიზიარა პროკურატურის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და მამის განზრახ მკვლელობაში ბრალდებული ბ.კ. დამნაშავედ ცნო.

სასამართლო პროცესზე წარდგენილი მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ 2019 წლის 23 იანვარს, ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ სულორში, ბ.კ.-მ ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, განზრახ მოკვლის მიზნით, მამამისს ა.კ.-ს ხელებითა და ფეხებით სცემა თავისა და სხეულის სხვადასხვა ადგილებში. ა.კ. თავის არეში მიღებული დაზიანებების შედეგად შემთხვევის ადგილზე გარდაიცვალა.

სამართალდამცველებმა ბ.კ. 2019 წლის 25 იანვარს დააკავეს.

მას ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 111-109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტით (განზრახ მკვლელობა ოჯახის წევრის მიმართ) წარედგინა და აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა.

ქუთაისის საქალაქო სასამართლომ ბ.კ. წარდგენილ ბრალდებაში დამნაშავედ ცნო და სასჯელის სახედ და ზომად 15 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.

# მშრალ ხიდთან ტოიოტა ხეს შეეჯახა

## 1 ადამიანი დაიღუპა, 2 დაშავდა



მშრალი ხიდის მიმდებარე ტერიტორიაზე, მტკვრის მარცხენა სანაპიროზე ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად ერთი ადამიანი გარდაიცვალა, ორი კი დაშავდა.

ავარია გუშინ, 29 ოქტომბერს, მოხდა. როგორც ინტერპრესნიუსს შსს-ში განუცხადეს, ტოიოტას მარკის ავტომობილი ხეს შეეჯახა, რის შედეგადაც მგზავრი დაიღუპა, მძღოლი კი დაშავდა.

დაშავებული სასწრაფო დახმარების ჯგუფმა კლინიკაში გადაიყვანა.

ავტოსაგზაო შემთხვევაში მეორე მანქანაც, შემხვედრი მიმართულებით მოძრავი ჰონდაც მონაწილეობდა, რომელიც გზის სავალი ნაწილიდან გადავიდა და ბორდიურს შეეჯახა. დაშავდა ერთი მგზავრი. შეჯახების გამო დაზიანდა კიდევ ერთი მანქანა.

მომხდარ ფაქტზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის მე-6 ნაწილით დაიწყო, რაც ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს, რამაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია.



# ბულგარეთმა რუსი დიპლომატი ქვეყნიდან გააძევა

ბულგარეთმა რუს დიპლომატს, რომელიც ჯაშუშობაშია ბრალდებული, ქვეყანა დაატოვებინა. ამის შესახებ ინფორმაციას ქვეყნის საგარეო საქმეთა სამინისტრო ავრცელებს.

უწყების ცნობით, პროკურატურისგან ინფორმაციის მიღებისთანავე, დიპლომატი სამინისტროში დაიბარეს.

– ბულგარეთმა რუსეთის ინსტიტუტებს მოუწოდა, თავისი თანამშრომელი გაეწვიათ. პიროვნებამ ქვეყნის ტერიტორია უკვე დატოვა, – განაცხადეს ბულგარეთის საგარეო უწყებაში.

პროკურატურის ცნობით, გასული წლის სექტემბრიდან სოფიაში რუსეთის საელჩოს პირველი მდივანი ბულგარეთის ტერიტორიაზე სახელმწიფო საიდუმლოს ხასიათის მატარებელ ინფორმაციებს აგროვებდა მათი მოსკოვისთვის გადაცემის მიზნით.



# ბრიტანეთის პარლამენტმა ჯონსონს მხარი არ დაუჭირა

ბრიტანეთის პარლამენტში პრემიერ ჯონსონის წინადადებას ვადამდელი არჩევნების ჩატარების თაობაზე კენჭი უყარეს.

მას 199-მა დეპუტატმა დაუჭირა მხარი. წინააღმდეგ წავიდა 70. წინადადება არ გავიდა.

ბორის ჯონსონმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ აპირებს ვადამდელი არჩევნების ჩატარების თაობაზე ახალი კომპრომისული ვარიანტის შეთავაზებას. ეს უკვე რამდენიმე დღეში მოხდება.



# ერდოღანი კმაყოფილია

თურქეთის პრეზიდენტმა რეჯებ ერდოღანმა ალ-ბაღდადის ლიკვიდაციის გამო კმაყოფილება გამოთქვა. მან განაცხადა, რომ საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლაში ძირეული შემობრუნება დაიწყება.

– თურქეთი ტერორიზმს მუდამ აქტიურად ებრძოდა და ეს მომავალშიც ასე იქნება, – თქვა ერდოღანმა.

ალ-ბაღდადის ლიკვიდაციაში თურქეთის სპეცსამსახურებიც მონაწილეობდნენ. ტრამპმა ამის გამო ერდოღანს მადლობა გადაუხადა.



# ტრამპის ყოფილმა თანაშემწემ კონგრესს ჩვენება არ მისცა

აშშ-ის კონგრესი აგრძელებს გამოძიებას, რომლის შემდეგაც უნდა გადაწყდეს, გამოუცხადებენ პრეზიდენტს იმპიჩმენტს თუ არა.

ამჯერად კონგრესმენთა წინაშე ტრამპის თანაშემწე კოპერმანი უნდა წარმდგარიყო. მას უნდა ნათელი მოეფინა საკითხისთვის, მართლა მოახდინა თუ არა ტრამპმა ზეწოლა უკრაინაზე.

კოპერმანი არ გამოცხადდა.

# კიმ კარდაშიანმა თავისი ქალიშვილი ჰელოუინისთვის გამოაწყო

რეალითი-შოუს „კარდაშიანების ოჯახის“ მონაწილე და მეწარმე კიმ კარდაშიან-უესტმა თავისი უფროსი ქალიშვილი ნორტ უესტი ჰელოუინისთვის ერთბრეტელიან კაბაში გამოაწყო, მიუხედავად იმისა, რომ ამის წინააღმდეგი იყო მისი მეუღლე კანიე უესტი. მას სურდა, რომ ბავშვი უფრო თავშეკავებულად ყოფილიყო გამოწყობილი. კარდაშიანმა თავისი ქალიშვილის ფოტოსურათი გადაღებული მეგობრებთან ერთად, ინსტაგრამში საკუთარ გვერდზე განათავსა.



სურათზე ექვსი წლის ნორტს ერთბრეტელიანი მიდი-კაბა აცვია, მას ასევე ამშვენებს თმებზე გაკეთებული შავი ფერის ბაფთა. ჩოკერი კისერზე, ფუმფულა წინდები ფეხებზე და ხელოვნური თაბაშირის სახვევი ხელზე. კარდაშიანმა მონიშნა ბრენდები, რომლებშიც გოგონები არიან გამოწყობილები: Givenchy, Prada და Dolce&Gabbana. თუმცა ამავე დროს ნორტს სახეზე კოსმეტიკა არ აქვს გაკეთებული, რომლის გამოყენების წინააღმდეგიცაა კანიე უესტი.

უფრო ადრე გავრცელდა ინფორმაცია, რომ კიმ კარდაშიანმა და კანიე უესტმა იჩხუბეს მათი ქალიშვილის გარეგნობასთან დაკავშირებით მათი განსხვავებული შეხედულებების გამო. უესტმა ნორტს მაკიაჟის და კროპ-ტოპების ტარება აუკრძალა, სანამ მოზარდის ასაკს არ მიაღწევს, თუმცა კარდაშიანმა მეუღლის შეხედულებები მეტისმეტად კონსერვატიულად ჩათვალა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**




# მიწისძვრა ფილიპინებში

## 7 ადამიანი დაიღუპა

7 ადამიანი დაიღუპა სამხრეთ ფილიპინებში მომხდარი დამანგრეველი მიწისძვრის შედეგად. მიწისძვრის სიმძლავრე 6.6 მაგნიტუდას შეადგენდა.

მიწისძვრის ეპიცენტრი ჩრდილო-აღმოსავლეთ პროვინციაში, კოტაბადოში დაფიქსირდა. ექსპერტების თქმით, ცუნამის საშიშროება არ არსებობს.

ტულუმანის რეგიონში, სკოლის ჩამონგრევის შედეგად, დაშავებულნი არიან ბავშვები.

16 ოქტომბერს იმავე არეალში მომხდარი მიწისძვრის შედეგად 7 ადამიანი დაიღუპა, ხოლო 215 დაშავდა.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

# მიტოვებული ლამბორჯინი 1,2 მილიონ ფუნტად გაიყიდა

მიტოვებულ ავტოფარეხში ნაპოვნი ლამბორჯინი მიურა პ400 ს-I სოტბის აუქციონზე 1,2 მილიონ ფუნტ სტერლინგად გაიყიდა. ამასთან, მის სავარაუდო გასაყიდ ფასად 800 ათასი ფუნტი ითვლებოდა.

სუპერკარი 1969 წელსაა გამოშვებული. მისი გარბენი ოდნავ აღემატება 29 ათას კილომეტრს. ამ დროის განმავლობაში ავტომობილს მხოლოდ ერთხელ შეეცვალა მფლობელი. ბოლო 40 წლის მანძილზე მას მხოლოდ ერთი პატრონი ჰყავდა.

მანქანა გერმანიის შვარცვალდის მთის მასივში მდებარე პატარა სოფელში აღმოაჩინეს. ის იდეალურ მდგომარეობაში იმყოფებოდა, მხოლოდ მტვრის სქელი ფენით იყო დაფარული. ამასთან ავტომობილს არასოდეს ჩატარებია რესტავრაცია, ხოლო მისი ყველა დეტალი ქარხნულია, მისი აწყობის დროინდელი.



ლამბორჯინი მიურა 1966-დან 1973 წლის ჩათვლით გამოდიოდა. თავისი დებიუტისთვის ის მსოფლიოში ყველაზე სწრაფ ავტომობილად ითვლებოდა.

# კაცი, რომელსაც სამუდამო პატიმრობა ჰქონდა მისჯილი, შემთხვევით ციხიდან გაუშვეს

ამერიკელი, რომელსაც გაუპატიურებისთვის სამუდამო პატიმრობა ჰქონდა მისჯილი, „შეცდომით“ ციხიდან გაათავისუფლეს.

ინციდენტი რამდენიმე დღის წინ ჯორჯიის შტატის ქალაქ რეიდსვილში მოხდა. შტატის გამოსასწორებელი დაწესებულებების დეპარტამენტში განაცხადეს, რომ ხელისუფლებამ პატიმრობიდან განთავისუფლებული ტონი მაიკონ მუნოსმენდესის დასაჭერად ყველა რესურსი აამოქმედა.

31 წლის მამაკაცს სამუდამო პატიმრობა 2010 წელს მცირეწლოვანთა გაუპატიურების და გარყვნისთვის მიესაჯა.

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა.** თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნილბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი. ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52**

## განცხადებები

**იყიდება**

● იყიდება მსხმოიარე ვენახი 0,5 ჰექტარი, ვენახში არის ჩინურის, თავკვერის და ალადასტურის ჯიშის ყურძენი. თბილისიდან 35 წუთის სავალზე, მცხეთის რაიონის სოფელ ვაზიანში. ნაკვეთთან ახლოს გადის გზა, წყალი, გაზი და სინათლე. გამოდგება მარნის მოსაწყობად. 1 კვ.მ ფასი 12 ლარი. ტელ: 593 127337; 593 515603.

**ჯანმრთელობა, მკურნალობა**

● დიაბეტური დაავადებების, ხერხემლის გამრუდების, ბავშვებში ბრტყელტერფიანობის, ყურებში შუილის, სმენის დაქვეითების მკურნალობა. მოგემსახურებათ გაეროს სერტიფიკატის მფლობელი ექიმი თამარ შავერდოვა. ტელ: 579-281-766.

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიომცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

● ამკურნალი-კოსმეტოლოგი გთავაზობთ შემდეგი სახის მკურნალობას: სახეზე ჩირქოვანი გამონაყარის „აკნეს“ ლაქების მოხსნას, კანის გამოცვლას უმტკივნეულოდ, დახეთქილი და გაუხეშებული ქუსლების, ხელების მკურნალობას ხსნარებისა და მალამოების საშუალებით. ტელ: 555-11-00-06.

# ხორვატიამ საქართველოსთვის შემადგენლობა დაასახელა




19 ნოემბერს საქართველოს ფეხბურთელთა ნაკრები ამხანაგურად ხორვატიას გაეჯიბრება. მანამდე, 15 ნოემბერს, ჩვენებს შვეიცარიასთან აქვთ ევროშესარჩევის მატჩი, ხოლო ხორვატები ამავე ტურნირზე სლოვაკებს უმასპინძლებენ.

საქართველოს ნაკრების მთავარ მწვრთნელ ვლადიმირ ვაისს შემადგენლობა ჯერ არ დაუსახელებია, ხოლო ხორვატიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ზლატკო დალიჩმა იმ ფეხბურთელების სია დაასახელა, რომლებიც 16 და 19 ნოემბერს დაგეგმილი 2 მატჩისთვის გუნდში მიიწვია.

ეს ხორვატიისა და საქართველოს ნაკრების მესამე დაპირისპირებაა. ევრო 2012-ის საკვალიფიკაციო ტურნირში პირველი მატჩი თემურ ქეცბაიას გუნდმა 1:0 მოიგო ლევან კობიაშვილის გვიანი გოლით, საპასუხო თამაში კი სპლიტში ხორვატების 2:1 გამარჯვებით დასრულდა.

**ხორვატიის ნაკრების შემადგენლობა ასეთია:**

**მეკარეები**: ლოვრე კალინიჩი (ასტონ ვილა, ინგლისი), დომინიკ ლივაკოვიჩი (დინამო ზ), სიმონ სლუგა (ლუტონ თაუნი, ინგლისი);

**მცველები**: ტინ იედვაი (აუგსბურგი, გერმანია), მატეი მიტროვიჩი (ბრიუგე, ბელგია), ბორნა ბარიშიჩი (რეინჯერსი, შოტლანდია), კარლო ბარტოლეცი (კოპენჰაგენი, დანია), დუჟე ჩალეტა-კარი (მარსელი, საფრანგეთი), მილე შკორიჩი (ოსიეკი), დარიო მელნიაკი (რიზესპორი, თურქეთი), დინო პერიჩი (დინამო ზ);

**ნახევარმცველები**: ლუკა მოდრიჩი (რეალი, ესპანეთი), ივან რაკიტიჩი (ბარსელონა, ესპანეთი), მატეო კოვაჩიჩი (ჩელსი, ინგლისი), მარსელო ბროზოვიჩი (ინტერი, იტალია), მილან ბადელი (ფიორენტინა, იტალია), მარიო პაშალიჩი (ატალანტა, იტალია), ნიკოლა ვლაშიჩი (ცსკა, რუსეთი);

**თავდამსხმელები**: ივან პერიშიჩი (ბაიერნი, გერმანია), ანდრეი კრამარიჩი (ჰოფენჰაიმი, გერმანია), ანტე რებიჩი (მილანი, იტალია), იოსიპ ბრეკალო (ვოლფსბურგი, გერმანია), ბრუნო პეტკოვიჩი, მიროსლავ ორშიჩი (ორივე დინამო ზ).

## შედეგები

**28 ოქტომბერი**
**ფეხბურთი**

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

| | |
|---|---|
| ქპრ-ბრენტფორდი | 1:3 |

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

| | |
|---|---|
| ზანდჰაუზენი-ვისბადენი | 0:0 |

**საფრანგეთი. მე-2 ლიგა**

| | |
|---|---|
| ვალანსიენი-ლე ავრი | 0:0 |

**პორტუგალია. პრიმეირა დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ბრაგა-სანტა კლარა | 2:0 |

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

| | |
|---|---|
| ასტერასი-ლამია | 4:1 |

**თურქეთი. სუპერლიგა**

| | |
|---|---|
| ბაშაქშეჰირი-ტრაბზონი | 2:2 |

**დანია. სუპერლიგა**

| | |
|---|---|
| ორხუსი-კოპენჰაგენი | 1:2 |

**შვედეთი. ალსვენსკა**

| | |
|---|---|
| მალმიო-აიკი | 2:0 |
| ელფსბორგი-გიოტებორგი | 2:0 |
| დიურგარდენი-იორებრო | 3:0 |

**ნორვეგია. ელიტსერია**

| | |
|---|---|
| ბრანი-ბოდო გლიმდტი | 1:1 |

# მომღერალმა ადელმა ქმართან დაშორების შემდეგ წონაში დაიკლო





სოციალურ ქსელებში გამოჩნდა ქმართან დაშორების შემდეგ გამხდარი ბრიტანელი მომღერლის ადელის ფოტოსურათი.

31 წლის ინგლისელი მომღერალი კანადელი რეპერის დრეიკის დაბადების დღესთან დაკავშირებით გამართულ წვეულებაზე მივიდა. ადელს ეცვა იტალიური ბრენდის ეტროს შავი ხავერდის კაბა ბარდოს დეკოლტით. დიდ ბრიტანეთში მისი ღირებულება 1.160 ფუნტ სტერლინგს შეადგენს. მომღერალს ფეხზე ქუსლიანი სანდლები ეცვა, ასევე მის ალკაზმულობას ამშვენებდა შავი ფერის ხელჩანთა.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ადელმა წონაში ექვსი კილოგრამი დაიკლო მას შემდეგ, რაც მეუღლეს დაშორდა და ვარჯიში დაიწყო.

შეგახსენებთ. რომ ადელი თავის მეუღლეს, ბიზნესმენ საიმონ კონეკის მიმდინარე წლის აპრილში დაშორდა. მათი ურთიერთობა 2011 წელს დაიწყო და ერთი წლის შემდეგ წყვილს შეეძინა შვილი, რომელსაც ანჟელო დაარქვეს. მომღერალმა და მეწარმემ 2017 წელს ლოს-ანჯელესში იქორწინეს.

# „მის დედამიწა“ პუერტორიკოელი გახდა



ტიტულის „მის დედამიწა 2019-ის“ მფლობელი პუერტო-რიკოს 21 წლის წარმომადგენელი ნელი პიმენტელი გახდა. ეს ინფორმაცია ტვიტერში კონკურსის გვერდზეა გამოქვეყნებული.

„მის ჰაეროვნება-2019-ის“ ტიტული ამერიკელმა ემანი დევისმა მიიღო, „მის წყალი-2019“ ჩეხ კლარა ვავრუშკოვას ერგო, ხოლო „მის ცეცხლი 2019-ის“ მფლობელი ბელორუსი ალისა მანენოკი გახდა.

ნელი პიმენტელი დაიბადა და გაიზარდა სან-ხუანში. მისი ბიოგრაფიიდან ცნობილია, რომ ის მარკეტინგისა და ფსიქოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტია.

კონკურსი „მის დედამიწა-2019“ ფილიპინებში ჩატარდა და მასში 85 ქვეყნის წარმომადგენელი მონაწილეობდა.

# ფეხბურთი: მსოფლიოზე გასვლა გართულდა




გაირკვა, თუ როგორი იქნება 2022 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ციკლი ევროპის ზონაში. ბებერი კონტინენტიდან მუნდიალზე 13 ნაკრები გავა.

ცხადია, მსოფლიოს ჩემპიონატზე მოხვედრა გართულდება ყველასთვის. თავდაპირველად ჩატარდება ტრადიციული შესარჩევი და 55 ნაკრები გადანაწილდება 10 ჯგუფში. პირველადგილოსნები პირდაპირ მიიღებენ ყატარის საგზურს და დარჩება 3 ვაკანტური ადგილი. ჯგუფების წილისყრა გაისად ჩატარდება, მაგრამ ზუსტი თარიღი ჯერ უცნობია.

ახლა მეორე რაუნდი: 10 მეორეადგილოსანი და პლუს ერთა ლიგის 2020-21 წლის გათამაშებიდან 2 საუკეთესო გუნდი (ოღონდ მათგან საუკეთესოები, რომლებიც ტრადიციულ შესარჩევში 1-2 ადგილებზე არ გავლენ) ფლეი ოფში ითამაშებენ. ანუ, ეს 12 ნაკრები 6 წყვილს შეადგენს. გამარჯვებული 6 გუნდი კიდევ 3 წყვილს შეადგენს და მოგებულები გავლენ მუნდიალზე.

2022 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ტრადიციული შესარჩევი ეტაპი ევროპის ზონაში 2021 წლის მარტში დაიწყება და იმავე წლის ნოემბერში დასრულდება. ანუ, როგორც წლეულს იყო ევროშესარჩევში.

ერთა ლიგის ჯგუფური თამაშები კი 2020 წლის სექტემბრიდან იმავე წლის ნოემბრამდე ჩატარდება, მომდევნო წლის მარტში კი ფინალური სტადია გაიმართება.

საქართველოს ნაკრები ერთა ლიგაზე ც დივიზიონში იქნება, რომელშიც სულ 16 ნაკრები ითამაშებს. 4-4 გუნდი ჯგუფებში... თუ ტრადიციულ შესარჩევში 1-2 ადგილებზე ვერ გავედით, მაშინ მინიმუმ ერთა ლიგის 4-გუნდიან ჯგუფში უნდა გავიმარჯვოთ, რათა მუნდიალზე გასასვლელად ბრძოლა გავაგრძელოთ.

საინტერესოა, ვისთან მოვხვდებით: წილისყრა გაისად 3 მარტს შედგება. ც დივიზიონში არიან: საბერძნეთი, ალბანეთი, მონტენეგრო, საქართველო, ჩრდილოეთ მაკედონია, კოსოვო, ბელარუსი, კვიპროსი, ესტონეთი, სლოვენია, ლიტვა, ლუქსემბურგი, სომხეთი, აზერბაიჯანი, ყაზახეთი, მოლდოვა.

მოკლედ, დამატებითი გზაა ყატარში მოსახვედრად, ოღონდ, რა თქმა უნდა, უფრო რთული: ევროპის ჩემპიონატზე 24 ნაკრები გადის, მუნდიალზე კი ევროპიდან მხოლოდ 13.

# ინდიანამ ისევ წააგო, ბითაძეს არ ათამაშებენ



ინდიანა პეისერსმა ნბა-ს რეგულარული სეზონის მესამე შეხვედრაც დათმო. გოგა ბითაძე კი პარკეტზე არ გამოჩენილა. ინდიანაპოლისელები დეტროიტ პისტონსთან დაძაბულ ბრძოლაში, 94:96 დამარცხდნენ. არადა, 94:90 იგებდნენ და ბოლოს მოეშვნენ. აღსანიშნავია, რომ ინდიანამ პირველი მატჩიც დეტროიტთან წააგო.

20 წლის ქართველი ცენტრი მთელი მატჩის განმავლობაში სათადარიგო გახლდათ. მიუხედავად იმისა, რომ მუხლის ტრავმა სერიოზული არ აღმოჩნდა და ბითაძე სრული დატვირთვით ვარჯიშობდა, მას დეტროიტთან თამაში არ მოუწია.

პეისერსიდან თავი დომანტას საბონისმ გამოიჩინა – ლიეტუველმა 21 ქულით და 14 მოხსნით ორმაგი დუბლი შეასრულა. ასევე ორმაგი დუბლი ჰქონდა მალკოლმ ბროგდონსაც, რომელსაც სამმაგ დუბლამდე 2 მოხსნა დააკლდა – 15 ქულა, 11 პასი, 8 მოხსნა.

ინდიანა პეისერსი ერთადერთი გუნდია აღმოსავლეთ კონფერენციაში, რომელსაც მოგება ჯერ კიდევ არ აქვს.

ბითაძის გუნდი მომდევნო მატჩს სტუმრად ბრუკლინ ნეტსთან გამართავს.

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

# ქურდმა ქალმა პოლიციის მანქანით სცადა გაქცევა

კანადის ქალაქ უინძორის პოლიციამ ქურდი ქალი მას შემდეგ დააკავა, როდესაც ის შეცდომით საკუთარის ნაცვლად პოლიციის მანქანაში ჩაჯდა.

ქალაქის ერთ-ერთი მაღაზიის თანამშრომლებმა, რომლებმაც ქურდი ქალი შენიშნეს, პოლიცია გამოიძახეს.

გამოძახებაზე ადგილზე სამოქალაქო ფორმით დეტექტივი მივიდა. ის თავის ამოსაცნობი ნიშნების არ მქონე პოლიციის მანქანაში იჯდა და მაღაზიის გამოსასვლელში ექვმიტანილის გამოჩენას ელოდებოდა.

როდესაც ქალი მაღაზიიდან გამოვიდა, ის პირდაპირ მისი მანქანისკენ გაემართა, საკუთარი პოლიციელის მანქანაში აერია და უკანა სავარძელზე დაჯდომას შეეცადა.

დეტექტივი მანქანიდან გადმოვიდა, თავი პოლიციის ოფიცრად წარუდგინა და ეჭვმიტანილი სხვისი ქონების ქურდობისა და ამ გზით მისი დაუფლებისთვის დააპატიმრა.

როგორც გაირკვა, 35 წლის ქალისთვის ეს პირველი დანაშაული არ ყოფილა. ჩვეულებრივ, ის შესანიღბად ვარდისფერ გამჭვირვალე ქსოვილს ჩადრის სახით იყენებს, ხოლო მოპარულ ნივთებს ოდეალა გადაფარებულ საბავშვო სავარძელში მალავს. ქურდი ქალის საქმის მოსმენა ნოემბერში შედგება.

# ტაილანდში ქალი საკუთარი კრემაციის წინ გაცოცხლდა

ტაილანდში ქალს სიცოცხლის ნიშანწყალი საკუთარ კრემაციამდე რამდენიმე წუთით ადრე დაეტყო.

ფინიჯ სოპაჯორნი, რომელსაც ფარისებრი ჯირკვლის სიმსივნე ტანჯავდა, 20 ოქტომბერს გარდაცვლილად გამოაცხადეს, რის შემდეგაც მისმა ოჯახმა მისი დაკრძალვისთვის დაიწყო მომზადება. სამი დღის განმავლობაში 70 წლის ქალი ადგილობრივ ბუდისტურ მონასტერში დაბალ ტემპერატურაზე შენახულ კუბოში იწვა.

კრემაციამდე მისი მეუღლე ტავინ სოპაჯორნი ტრადიციულ წესჩვეულებას, მიცვალებულის განბანვას ასრულებდა. მან ყურადღება მიაქცია იმას, რომ მეუღლეს მიცვალებულისთვის დამახასიათებელი გაქვავება არ აღენიშნებოდა. გარდა ამისა, ტავინმა შენიშნა, რომ მისი მეუღლე ძლივს შესამჩნევად სუნთქავდა, ხოლო ლოყები უკანკალებდა.

ქალი საავადმყოფოში გადაიყვანეს.

– მეუღლე მძიმე მდგომარეობაშია, არა მგონია, რომ მან ამ მდგომარეობიდან გამოსვლა შეძლოს, მაგრამ ის ცოცხალია, მისი გარდაცვალების დრო ჯერ არ დამდგარა. მისი ცოცხლად კრემაცია რომ მომხდარიყო, ეს ნამდვილი საშინელება იქნებოდა – განაცხადა ქალის მეუღლემ.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

## კროსვორდი ბ



**შვეულად**: 1. მრავალადგილიანი სამგზავრო ავტომობილი; 2. სახელმწიფოს ერთპიროვნული მმართველი; 3. დადუღებული ყურძნის წვენი; 4. ამერიკული ავიაკოსმოსური კონცერნი; 5. უფოთლო, ეკლებიანი ღეროს მქონე ტროპიკული მცენარე; 10. შვედი კინორეჟისორი; 11. მეცნიერება საზოგადოების განვითარების ზოგადი კანონების შესახებ; 12. უმოტორო საფრენი აპარატი; 15. ზოგიერთი მოლუსკის სხეულში წარმოქმნილი ძვირფასი თვალი; 16. ბელგიის ფეხბურთელთა გუნდი; 17. გერმანიის კანცლერი; 20. პირველი გერმანული ოპერა.

**თარაზულად**: 6. ოქტომბრის თვის ქართული სახელწოდება; 7. ქართველი სუმოისტი; 8. ლიტერატურული ნაწარმოების შესავალი ნაწილი; 9. მოგრძო, მრგვალი ბალიში; 13. ოპერა „კარმენის“ კომპოზიტორი; 14. ქართველი მწერალი, დრამატურგი, კინორეჟისორი; 18. საერთაშორისო კომპიუტერული საინფორმაციო ქსელი; 19. ალპინისტთა მეგზური ჰიმალაებში; 21. ეთერზეთოვანი მცენარე, სურნელოვანი ყვავილი; 22. სახელმწიფო ევროპაში; 23. რამდენიმე კომპანიის გაერთიანება; 24. ფილატელისტის ალბომი.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. არეშიძე; 2. კარმენი; 3. ელარჯი; 4. ბურდა; 5. ნოვატორი; 7. ტბა; 11. ვირუსი; 15. რომანსი; 16. მალაგა; 17. შონია; 18. გაუდა; 20. სოფია; 22. რომი.

**თარაზულად:** 6. რეკეტი; 8. ჩარხილი; 9. შარტავა; 10. რუსთავი; 12. დიჯეი; 13. აქატი; 14. ჰიტრიონი; 19. მემფისი; 21. ქოჩარი; 23. აბული; 24. ბინომი; 25. ქსილიტი; 26. დიპტანკი.

**კროსვოდი ბ**

**შვეულად:** 1. პაგანინი; 2. აფალინა; 3. ჰალვა; 4. ერქვანი; 5. მეეზოვე; 10. ქოლერიკი; 11. თაყაიშვილი; 12. პროექტი; 15. პანიტერია; 16. ჩხოუში; 17. გამპერი; 20. დრაჟე.

**თარაზულად:** 6. რატიფიკაცია; 7. დროზერა; 8. კრაზანა; 9. კიტონი; 13. ლელო; 14. ჰამერი; 18. პერინიონი; 19. ვალიო; 21. გრილი; 22. მიმინო; 23. ციხისძირი; 24. ტრაილერი.

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


30 ოქტომბერი

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი — 2.9545 | ევრო — 3.2739 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.7909 | 100 რუსული რუბლი — 4.6276 |

## ამინდის პროგნოზი 30 ოქტომბერი







## 16 ოქტომბრიდან

გიორგი კოკოშაშვილი

**ქართული საბრძოლო ხელოვნება**

ჩვენი ღირსებანი

**ფასი გაზეთთან ერთად 18 ლარი**

## 5 ნოემბრიდან

საქართველოს ისტორია პატარებისთვის

**ბაზალეთისა ტბის ძირას**

წიგნი III

**ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი**




## მეთევზემ რეკორდული ზომის ქარიყლაპია დაიჭირა



ამერიკის მინესოტის შტატში რეკორდული ზომის ქარიყლაპია, მასკინონგი, დაიჭირეს.

კორი კიტცმანმა თევზი ტყეში მისი სახლის მახლობლად მდებარე ტბა ვერმილიონში დაიჭირა. ეს ჯერ კიდევ აგვისტოში მოხდა, თუმცა, ბუნებრივი რესურსების დეპარტამენტმა რეკორდი მხოლოდ ახლა დააფიქსირა.

– როდესაც ანკესზე წამოეგო, იმ წამსვე მივხვდი, რომ დიდი თევზი დავიჭირე, – ამბობს კიტცმანი, – მაგრამ მხოლოდ მაშინ მივხვდი, თუ როგორ უზარმაზარ თევზთან მქონდა საქმე, როდესაც ის ჩემი ნავის გვერდთან აღმოჩნდა. დაჭერილი თევზის სიგრძემ 145,4 სანტიმეტრი, ხოლო წონამ – 21,3 კილოგრამი შეადგინა. მისი წყლიდან ამოყვანაში მეთევზეს მისი მეგობარი დაეხმარა.

წინა რეკორდის მფლობელის სიგრძე, რომელიც 2016 წელს იქნა დაჭერილი, 144,4 სანტიმეტრს შეადგენდა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ასტროპროგნოზი

### 30 ოქტომბრისათვის



**ვერძი** – კოლეგებთან და პარტნიორებთან გაუგებრობა თქვენს საქმიანობაზე ნეგატიურად აისახება. სასიცოცხლო პოტენციალი მცირდება. ახალი საქმის დაწყება რეკომენდებული არ არის. **კურო** – ერიდეთ საქმის გარჩევას საყვარელ ადამიანთან. სამსახურში ძალზე ყურადღებიანი და ფრთხილი უნდა იყოთ. **ტყუპები** – კეთილისმყოფელი დღეა. გიმართლებთ ბიზნესში, ვაჭრობაში. გელით მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება. **კირჩხიბი** – იზრუნეთ კარიერულ წინსვლაზე. თქვენი მიზანდასახულობა და შრომისმოყვარეობა დაფასდება. **ლომი** – წინააღმდეგობრივი დღეა. შესაძლოა, გეგმები შეგეცვალოთ. დაუფიქრებელ ნაბიჯს ნუ გადადგამთ. **ქალწული** – ყურადღებით იყავით, განსაკუთრებით – სამსახურში. წინდაუხედაობამ, შესაძლოა, დაგაზარალოთ. **სასწორი** – მეგობრები და ახლობლები ნებისმიერ სიტუაციაში დაგეხმარებიან. მიენდეთ მათ. **ღრიანკალი** – ნუ აჩქარდებით. სიტუაცია გულმოდგინედ გააანალიზეთ და მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მხოლოდ ამის შემდეგ მიიღეთ. **მშვილდოსანი** – კომერციულ საქმიანობაში გიმართლებთ. ვარსკვლავების განლაგება ამაში გეხმარებათ. **თხის რქა** – თქვენს თავშეკავებასა და გონიერებაზე ბევრი რამ არის დამოკიდებული. ერიდეთ ემოციების გამოხატვას. **მერწყული** – ენერგია გემატებათ. ჯანმრთელობას უყურადღებოდ ნუ დატოვებთ. ჩანაფიქრის განხორციელებას ადვილად მოახერხებთ. **თევზები** – ეცადეთ, საკუთარ გრძნობებში გაერკვეთ. თამამად გარისკეთ. ახალი საქმის დაწყებაში პლანეტები ხელს გიწყობენ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## იუმორი

დედა შვილს ეუბნება:

– პური ჭამე, შვილო.

– დედა, არ მიყვარს პური.

– პური ჭამე და დიდი და ძლიერი გახდები.

– რისთვის?

– რომ პურის ფული გამოიმუშაო.

– კი მაგრამ, ხომ არ მიყვარს პური.

●●●

მამაკაცი აფთიაქში გამყიდველს ეკითხება:

– პური გაქვთ?

– არა, ეს ხომ აფთიაქია, აქ პურს რა უნდა.

მეორე დღესაც იგივე მეორდება და ასე ზედიზედ რამდენიმე დღე. ბოლოს აფთიაქარმა იფიქრა, ხვალ ის სულელი ისევ მოვა და პურს იკითხავს, მოდი, ავილებ პურს და, რომ მოვა, მივყიდი, რომ მის სულელურ კითხვებს აღარ ვუპასუხო. თანაც ცოდოა, ეტყობა, ავადმყოფია.

და აი, მეორე დღეს მამაკაცი შედის აფთიაქში და გამყიდველს ეკითხება:

– ძეხვი გაქვთ?

გაოგნებული აფთიაქარი:

– არა, მხოლოდ პური გვაქვს!

– პური ახლა ყველა აფთიაქში აქვთ!

●●●

ორი მეგობარი ზის და ღვინოს სვამს. ამ დროს სამგლოვიარო პროცესიამ ჩაიარა. ერთ-ერთმა ერთ-ერთი ჭირისუფალი მიიხმო და ეკითხება:

– ვინ არის?

– გივია, მთელი ცხოვრება სვამდა, ეწეოდა, ქალებში დადიოდა და...

მეგობრებმა მოიწყინეს. სმას თავი ანებეს. დაახლოებით 20 წუთის შემდეგ მეორე სამგლოვიარო პროცესიამ ჩამოიარა. ისევ მიიხმეს ერთ-ერთი ჭირისუფალი და ეკითხებიან:

– ვინ არის?

– გოგია, მთელი ცხოვრება არც დაულევია, არც მოუწევია, მხოლოდ ცოლთან ცხოვრობდა და...

– ბიჭო, დაასხი, ოცი წუთის დედაც...

●●●

სასტუმროს მორიგის ტელეფონი რეკავს:

– ალო, სასტუმროს მორიგე გისმენთ.

– დამეხმარეთ, ჩემს ნომერში სიდედრს ვეჩხუბე და უნდა, რომ ფანჯრიდან გადახტეს!

– ეს კერძო შემთხვევაა და ჩვენ არ გვეხება!

– როგორ არ გეხებათ, ფანჯრები რატომ არ იღება?!

## ლადო ათანელი იუბილეს კონცერტით აღნიშნავს



ოპერის მომღერალი ლადო ათანელი მსოფლიო საოპერო სცენებზე მოღვაწეობის 30 წლის იუბილეს საგანგებო კონცერტით აღნიშნავს.

30 ოქტომბერს თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში ლადო ათანელის იუბილესადმი მიძღვნილ კონცერტში მონაწილეობას მიიღებენ ნინო სურგულაძე, ხათუნა ჭოხონელიძე, მარიკა მაჩიტიძე, შალვა მუქერია, არმაზ დარაშვილი, გოჩა დათუსანი, თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის გუნდი და ორკესტრი ზაზა აზმაიფარაშვილის დირიჟორობით.

ლადო ათანელის საიუბილეო კონცერტზე აჟღერდება ჯუზეპე ვერდის ოპერები „რიგოლეტო“ და „მაკბეტი“.

## ოთარ რამიშვილი 85 წლის გახდებოდა



ქართველი მუსიკოსი და მომღერალი, არაერთი ცნობილი სიმღერისა და ლექსის ავტორი, ოთარ რამიშვილი, 85 წლის გახდებოდა.

ხელოვანი, რომელმაც ქართული სიმღერის სიყვარულს არაერთი თაობა აზიარა, მისმა შვილმა მიშიკო რამიშვილმა გაიხსენა:

– 85 წელი შეუსრულდებოდა ოთარ კვაჭიჭო რამიშვილს, ცოცხალი რომ ყოფილიყო, კიდევ ბევრ ლამაზ ლექსსა და სიმღერას შექმნიდა.

დიდი მადლობა, მამა, ყველაფრისთვის, ამაყი ვარ, რომ ოთარ რამიშვილის შვილი ვარ, რომელიც ქალაქსა და სრულიად საქართველოს დააკლდა.

## ირაკლი მაქაცარიამ საიუველირო კოლექცია შექმნა



„ცეკვავენ ვარსკვლავების“ ქართული და უკრაინული პროექტების მონაწილემ და „პრაიმ შოუს“ წამყვანმა ირაკლი მაქაცარიამ საიუველირო კოლექცია შექმნა და პირველი ნამუშევრები ონლაინ გაყიდვაში გაუშვა:

– ეს არის ჩემი ახალი ჩანაფიქრი, წამოწყება და აწ უკვე შექმნილი ახალი პროექტი, რომელიც უკვე ონლაინ გაყიდვაშია პირველი საიუველირო კოლექციით. კოლექცია ინსპირირებულია ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაციით და დაფუძნებულია საქველმოქმედო პლატფორმაზე.

გაყიდული ნაკეთობებიდან შემოსული თანხის ნაწილი ავტომატურად მოხვდება საქველმოქმედო „ირაკლი მაქაცარიას“ ფონდში, რომელიც მიმართული იქნება ბავშვების დასახმარებლად. საიტზე იქნება მითითებული დეტალური ინფორმაცია, ვის, სად და როდის ვეხმარებით. ყველა მსურველს ექნება საშუალება, გახდეს თანამონაწილე ამ კეთილ საქმეში. ბრენდის ოფიციალური პრეზენტაცია გაიმართება უკრაინის რამდენიმე ქალაქში და ასევე თბილისში.



ნაკეთობების შეკვეთა შესაძლებელია ინტერნეტით ჩვენს ინსტაგრამ და ფეისბუქ გვერდებზე. უახლოეს პერიოდში მოგაწვდით ინფორმაციას, თუ სად შეძლებთ პროდუქციის ნახვას თბილისში.

დიდი მადლობა ყველას მხარდაჭერისთვის! იმედი მაქვს, ჩვენი ნამუშევრები მოგეწონებათ.

## სანდრო მიკუჩაძე ტელეწამყვანი გახდა



რუსთაველის თეატრის მსახიობი სანდრო მიკუჩაძე-ღაღანიძე ტელეწამყვანი გახდა.

სანდროს ყურება მის გულშემატკივრებს ტელე-რადიო კომპანია „თრიალეთის“ ეთერში შეეძლებათ.

მსახიობი ყოველ დილას, უქმე დღეების გარდა, მიწვეულ სტუმართან ერთად მაყურებლისთვის საინტერესო და სასარგებლო თემებზე ისაუბრებს.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## კროსვორდი ა

**შვეულად**: 1. საარტილერიო იარაღი; 2. სპარსეთში პროვინციის მმართველი, რომელიც განუსაზღვრელი უფლებებით სარგებლობდა; 3. შავი და თეთრი ფერის შრეებისგან შემდგარი მინერალი, აქატის ნაირსახეობა; 4. ჭიდაობის ერთ-ერთი სახეობა; 5. ბალეტის მოცეკვავე მამაკაცი; 7. ბრიტანელი მწერალი, დრამატურგი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 11. კლავიშებიანი მუსიკალური ინსტრუმენტი; 15. სატირული ხასიათის მიბაძვა; 16. ქართული სამშენებლო კომპანია; 17. საათების მწარმოებელი იაპონური ფირმა; 18. გერმანული ავტომობილი; 20. ოპერა „ჯამბაზების“ პერსონაჟი; 22. აუქციონ „კრისტის“ მფლობელი.

**თარაზულად**: 6. უნგრეთის ფეხბურთელთა გუნდი; 8. გადასახდელზედიანი ძველებური ეტლი; 9. პატარა სამკუთხა ალამი; 10. მზის სისტემის პლანეტა; 12. ქვეწარმავლის შხამი; 13. იაპონური აბანო; 14. მდინარე აშშ-ში; 19. უნგრელი კომპოზიტორი; 21. სოციოლოგიური კვლევის ამერიკული ცენტრი; 23. აშშ-ის ვიცეპრეზიდენტი; 24. ჩვილი ბავშვის საწოლი; 25. შენობის, ინტერიერის მხატვრული კონსტრუირება; 26. ზღვისპირა კურორტი აფხაზეთში.



*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*